



გაზეთი



უნივერსიტეტი

16
მაისი,
ორშაბათი
2016 წ., №7

ტსუ-მ ახალი აკადემიური საბჭოს შემაჯობელობა აირჩია

აე-5-7 გვირგვინი



ნოდარ ბელქანი



ამირან ბერძენიშვილი



თამარ აბაშიძე



რუსუდან სანაძე



გიორგი ღვედაშვილი



ომარ ფურთუხია



ელგუჯა მექვაბიშვილი




მარინე მინდორაშვილი



ირინა ქურდაძე



ირმა ხარშილაძე



ჰაატა იმნაძე



ნინო ოკრიბელაშვილი



დავით გოცირიძე

ტსუ-ის კანცლერობისთვის 6 კანდიდატი იბრძოლებს

13 მაისს 18:00 საათზე ამოინურა ტსუ-ის კანცლერობის კანდიდატების რეგისტრაციის ვადა. სულ დარეგისტრირდა 6 კანდიდატი: არჩილ კუკულავა, იოსებ მასურაშ-

ვილი, ალექსანდრე ჩხიტაური, შოთა ჭანტურიძე, ვახტანგ ანთია და ნუნუ ოვსიანიკოვა. უახლოეს მომავალში დასახელებული კანდიდატებიდან კანცლერობის ერთ კანდიდატს განახლე-

ბული აკადემიური საბჭო შეარჩევს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს. ეს პროცედურები, სავარაუდოდ, 10 ივნისისთვის უნდა დასრულდეს.





თსუ-ის რექტორის მოვალეობის უმსრულეაელი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელს ეწვია

სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში არსებულ მდგომარეობას გაეცნო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე. რექტორის მოვალეობის შემსრულებელი შეხვდა საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ სტუდენტებსა და თსუ-ის თანამშრომლებს.

თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თქმით, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში არასახარბიელო მდგომარეობაა. სარემონტო სამუშაოების ჩატარებას კი ხელს უშლის ის ფაქტი, რომ შენობები არ არის უნივერსიტეტის საკუთრება და ის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზეა. „თუმცა, ეტაპობრივად გარკვეული სახის სამუშაოები უკვე შესრულდა და ამჟამადც მიმდინარეობს. გამოცხადებულია ტენდერი სამრეცხაოს მოსახყობად, რომელიც ამ კორპუსებში მცხოვრებ სტუდენტებს მოემსახურება. გამოიცვლება წყალგაყვანილობა და კანალიზაციაც. სტუდენტებს ნამდვილად არა აქვთ მათი საკადრისი საცხოვრებელი პირობები. სარემონტო სამუშაოებს სჭირდება საკმაოდ დიდი თანხა. ჩვენ თხოვნით მივმართეთ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომ გადმოსცეს ეს შენობები უნივერსიტეტს; ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წერილი გაგზავნილია, რომ ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტიდან შესაძლებლობის ფარგლებში დაგვიფინანსონ საერთო საცხოვრებლების რემონტიც. იმედი გვაქვს, რომ გაგებით მოეკიდებიან პრო-



ბლემებს, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტს, ჩვენს სტუდენტებს აქვთ სტუდენტულ ცხოვრებასთან დაკავშირებით“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ. „სამი წელია რაც საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობ და ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა არის სველი წერტილები. ზედა სართულებიდან პირველ და მეორე სართულებზე ჩამოდის წყალი — აბაზანაშიც, საპირფარეოშიც, ონკანთანაც. ეს ძალიან არაჰიგიენურია და ამან მომავალში, შესაძლოა, გარკვეული პრობლემები გამოიწვიოს. სხვა ყველაფერი ნორმალურია. მოკლედ, ცხოვრება შესაძლებელია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ გადასახადს, რომელსაც ჩვენს ვიხდით — თვეში მხოლოდ 30 ლარს. ამ თანხაში შედის ყველანაირი გადასახადი, მათ შორის, ელექტრო ენერჯის“, — განაცხადა ფსიქოლოგიის

და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა მარიამ როსებიშვილმა.

თსუ-ის სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის საერთო საცხოვრებელი ბაგეტი 1975 წელს აშენდა. საერთო საცხოვრებლის ხუთივე კორპუსი ეკონომიკის სამინისტროს მფლობელობაში იყო, თსუ მას სარგებლობის უფლებით იყენებდა. ეკონომიკის სამინისტრომ 2009 წელს 2 თოთხმეტსართულიან კორპუსში, ხოლო 2011 წელს 1 ოთხსართულიან კორპუსში დევნილები შეასახლა. თსუ-ის სარგებლობაში დარჩა 2 ოთხსართულიანი კორპუსი. დღეისთვის ორივე კორპუსის 190-მდე ნომერში 279 თსუ-ის სტუდენტი და სოციალურად დაუცველი და მცირემემოსავლიანი 53 თანამშრომელი ცხოვრობს ოჯახით.



დასაქმების ფორუმი თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის ორგანიზებით დასაქმების ფორუმი გაიმართა. მასშტაბურ ფორუმში, რომლის მიზანია სტუდენტების დასაქმება და კარიერული განვითარება, მონაწილეობა მიიღო როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის 50-მდე დამსაქმებელმა.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე დასაქმების ფორუმის მონაწილეებს მიესალმა და მადლობა გადაუხადა ორგანიზაციების წარმომადგენლებს. „ჩვენს უნივერსიტეტს, რომელიც საქართველოში ყველაზე დიდი უნივერსიტეტია და 22 ათასამდე სტუდენტს ემსახურება, ყოველწლიურად 3-4 ათასამდე კურსდამთავრებული ჰყავს. მათი დასაქმებისთვის ზრუნვა ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, რისი დასტურია ის, რომ 2 წლის წინ უნივერსიტეტში საგანგებოდ ამ საქმის ხელშესაწყობად კარიერული განვითარების ცენტრი შექმენით. ცენტრის და თქვენი თანადგომით, ტარდება დღეს ეს სტუდენტური ფორუმი“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

თსუ-ის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის ხათუნა ცხადაძის განცხადებით — „აქ სამთავრობო უწყების წარმომადგენლები სტუდენტებს აცნობენ საჭირო უნარ-ჩვევებს, რომელსაც უნდა ფლობდეს სტუდენტი, რათა მათ უწყებებში დასაქმდეს. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველი პოზიცია შეარჩიონ. რაც შეეხება კერძო სექტორს, წარმოდგენილ ყველა კომპანიას აქვს ვაკანსიები და სტუდენტებს სტაჟირებას სთავაზობენ“.



ფორუმში, რომელიც თსუ-ის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის მიერ პირველად გაიმართა, მონაწილეობა მიიღეს განათლებისა და მეცნიერების, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივის რესურსების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალურ საქმეთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა, თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა და იუსტიციის სახლმა. კერძო სექტორი წარმოდგენილი იყო საბანკო-საფინანსო, ფარმაცევტული, სამედიცინო მომსახურების, სადაზღვევო, ტურიზმისა და მომსახურების, კვლევითი და საკონსულტაციო, მრეწველობის, ვაჭრობისა და დისტრიბუციის სფეროს კომპანიებით. ფორუმზე წარმოდგენილმა კომპანიებმა და ორგანიზაციებმა გააცნეს

სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მიმდინარე და სამომავლო ვაკანსიები და სტაჟირების შესაძლებლობები, ესაუბრნენ ზოგადად საკადრო საჭიროებებსა და შესაბამისი ორგანიზაციების საკადრო პოლიტიკაზე, მისცეს რჩევები და რეკომენდაციები პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების თვალსაზრისით.

ეს ღონისძიება არა მხოლოდ დასაქმების რეალურ შანსს აძლევს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზოგადად უმაღლესი განათლების სფეროს დასახლებლად შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

მოაზადა საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა



რექტორის მოვალეობის შეხსრულების მიერ მიცემული არაერთი პირობა სტუდენტებთან შეხვედრისას

28 აპრილს თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დარეჯან თვალთვაძისა და სტუდენტების პირველი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანი სტუდენტებისთვის თსუ-ში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება გახლდათ. პროცესებში იგულისხმება „უმალესი განათლების შესახებ“ კანონში მიღებული ცვლილებების საუნივერსიტეტო წესდებაში ასახვა და აკადემიური საბჭოს, რექტორის, თსუ-ის კანცლერის, სენატის დაგეგმილი არჩევნები. თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკმაოდ რთული ვითარებაა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმილმა ღონისძიებებმა კანონის დაცვით, მშვიდ ვითარებაში ჩაიაროს. დარეჯან თვალთვაძემ იქვე განმარტა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების შედეგების გამოცხადების დღეს „აუდიტორია 115“-ის სტუდენტებთან შეხვედრაზე უარის თქმის მიზეზი. მისი აზრით, არჩევნის პირველივე დღეს შეხვედრა სტუდენტთა ერთ კონკრეტულ ჯგუფთან კონფორმაციის შექმნის საფუძველს ქმნიდა, ამიტომ საჭიროდ მიიჩნია, რომ პირველი შეხვედრა თსუ-ის ყველა სტუდენტთან გამართულიყო.



დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნებისას კიდევ იქნება მსგავსი შემთხვევები. მინდა, პირობა ჩამოგართვათ, რომ ასეთ დროს სტუდენტებს მოგვმართავთ დასახმარებლად და არ იბრძოლებთ მართლ“, — აღნიშნა პაატა ბახტურიძემ.

დარეჯან თვალთვაძემ სტუდენტებს პირობა მისცა, რომ, მსგავსი ფაქტების დაფიქსირების შემთხვევაში, ინფორმაციას აუცილებლად მიწოდებს: „პაატას ნათქვამს, დარწმუნებული ვარ, ამ აუდიტორიაში ყველა ეთანხმება, რადგან ეს პოზიცია შეიძლება შემდეგი სიტყვათშეთანხმებით გამოიხატოს — „ავტონომია უნივერსიტეტს“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა იყოს ავტონომიური და ჰქონდეს საშუალება — თავად აირჩიოს მმართველი სუბიექტები. პირობას ვდებ, თუ ვერცხვებზე ზეწოლის მიწინააღმდეგ გავიწინებ იმ იმედით, რომ ამ ბრძოლაში მართლ არ დამტოვებთ“.

რექტორის მოვალეობის შემსრულებლის გადაწყვეტილება, რომ პირველად არ შეხვედროდა სტუდენტთა რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს, სტუდენტთა ნაწილმა დადებითად შეაფასა.

„ვერ დავეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რომელიმე ჯგუფს ჭეშმარიტებაზე აბსოლუტური მონოპოლია აქვს, რასაც, სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში შევეჩვიეთ. როგორი დიდი სურვილიც უნდა მქონოდა, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს პირველად შეხვედროდი, უარს ვამბობ ამაზე, რადგან „გაფუჭებული ტილეფონის“ პრინციპით სტუდენტებთან ურთიერთობის ცუდი გამოცდილება მაქვს“, — განაცხადა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი კაკაურიძემ.

დარეჯან თვალთვაძისთან შეხვედრაზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა თამარ გოჭოშვილმა ლექტორების მხრიდან სტუდენტების მისამართით სიძულვილის ენაზე საუბრის შემთხვევები გაახსენა. მისი თქმით, „რამდენიმე ლექტორი მხარეს წარმოადგენს და ხშირად სტუდენტების ნაწილს „კომკავშირებსა“ და მსგავს სახელებს უწოდებენ“. სტუდენტის სიტყვით გამოხატვის დასრულების შემდეგ დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, რომ გმობს მსგავსი ფაქტების ლექციებზე გამოვლინებას და თითოეული ასეთი საკითხი ეთიკის კომისიამ უნდა შეისწავლოს.

კიდევ ერთი პრობლემა, რომლის შესახებაც შეხვედრაზე იყო საუბარი — ქართულენოვანი სახელმძღვანელოების დეფიციტი. ეს საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა წამოჭრეს. მათი თქმით, ის ტემპი, რომლითაც უცხოენოვანი სახელმძღვანელოების თარგმანი მიმდინარეობს, არასაკმარისია. „ყველა საჭირო ნივთის თარგმნას, დაახლოებით, 22 წელი დასჭირდება და შედეგად ნათარგმნი ლიტერატურა უკვე მოძველებული იქნება“, — აღნიშნეს სტუდენტებმა. რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნული სიტუაციიდან გამოსავალს ქმედებად ელექტრონული სასწავლო კურსების შექმნა-გააქტიურება დაასახელა და იქვე დაამატა, რომ დარწმუნებულია — აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე უნივერსიტეტის არჩეული რექტორი და თითოეული პროფესორი აუცილებლად იზრუნებს.

შეხვედრაზე, ასევე, კითხვა დაისვა სამეცნიერო კვლევებისთვის საჭირო ლიტერატურის შესახებაც.

„ბოლო პერიოდში მრჩება შთაბეჭდილება, რომ თსუ პოლიტიკური ასპარეზის ველი უფროა, ვიდრე უმაღლესი სასწავლებელი. გარკვეული საკითხები, რომლებიც სტუდენტებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, უკანა პლანზე გადავიდა. მაგალითად, აქ თითქმის შეუძლებელია დისერტაციაზე მუშაობა, რადგან ლიტერატურა ძალიან ცოტაა. ასევე, სერიოზულად დგას დოქტორანტების სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელების პრობლემა და, ზოგადად, უნივერსიტეტში ახალგაზრდა კადრების დასაქმების საკითხიც“, — აღნიშნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტმა თათია მთვარელიძემ.

„20 აპრილს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ გამოაცხადა კონკურსი საბჭოს ახალი წევრების ასარჩევად, რომელიც 11 მაისს არის დაინშნული. განცხადებების მიღება დღეს დასრულდა. ვიმედოვნებ, რომ არჩევნები მშვიდ ვითარებაში ჩაივლის. კენჭისყრის პროცესი დღეს მოქმედი კანონის მიხედვით ჩატარდება, რადგან უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებები, ჯერჯერობით, ასახული არ არის. თუმცა, პარალელურად უკვე ვმუშაობთ პროექტზე, რომლის საფუძველზეც აკადემიური საბჭოს წევრთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს დაახლოებით 38 წევრიდან 45 წევრამდე. მთლიანობაში უნივერსიტეტის წესდებაში შესატანი ცვლილებები 24 გვერდამდეა, მათ შორის რამდენიმე მუხლი არჩევნებს ეხება. მიმდინარეობს დისკუსია აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტების წარმომადგენლების გაზრდის შესახებ, ჯერჯერობით შეთანხმება ვერ მივაღწიეთ — იქნება ეს 3 თუ 4 წევრი. საბოლოოდ, რა თქმა უნდა, გადაწყვეტილებას სენატი მიიღებს. მეორე მხრივ, „უმალესი განათლების შესახებ“ კანონი გვაავალდებულებს, რომ წესდებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ავსახოთ შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების თაობაზე, რომელთაც აკადემიურ საბჭოში, ასევე, უნდა ჰყავდეთ საკუთარი წარმომადგენლები. 14 სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტს ემატება მალაიკა ენერჯიტივის ფიზიკისა და გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო ინსტიტუტები. აქედან გამომდინარე, 16 ინსტიტუტს თუ 1 წარმომადგენელი მაინც ეყოლება აკადემიურ საბჭოში, დისბალანსის წინაშე ვდგებით — მათი რაოდენობა გადააჭარბებს საფაკულტეტო წარმომადგენლობას. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ფაკულტეტებიდან წევრების რაოდენობის გაზრდის აუცილებლობაც. ეს პროცესი შესაძლებელია დაინიშნოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში საკმაოდ მასშტაბური ცვლილებები შევა. განვიხილოთ გვაქვს სამოქმედო გეგმა, რის მიხედვითაც ეს სამუშაოები 30 ივნისამდე უნდა მოვასრულოთ. 15-16 მაისისთვის წესდებაში შესატანი ცვლილებები სენატს წარედგინება, მიღების შემთხვევაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნება, რომელმაც ცვლილებები საბოლოოდ უნდა დაამტკიცოს. როდესაც სამინისტროდან მივიღებთ პასუხს, უკვე შეგვეძლება აკადემიური საბჭოს გაფართოებაზე მუშაობის დაწყება, პარალელურად სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში არჩევნების ჩატარება, რათა 30 ივნისისთვის კანონდამრღვევთა რიგებში არ აღმოვჩნდეთ“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ.

საბჭოს შემადგენლობის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები არ უნდა იყოს. შესაბამისად, უნივერსიტეტის დღის წესრიგში ასევე დგას წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა რაოდენობის 90+1-მდე გაზრდის საკითხი. სენატის არჩევნების ჩატარება 1 ივლისამდეა დაინშნული. ამავე პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უნევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევა. აკადემიური საბჭოს მიერ კანცლერობის 1 შერჩეული კანდიდატი სენატს 10 ივნისს წარედგინება. დარეჯან თვალთვაძის თქმით, „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესებში მშვიდ ვითარებაში ჩაიაროს, რადგან არ შეიძლება უმაღლესი სასწავლებელი დიდხანს დარჩეს არჩეული რექტორისა და არჩეული კანცლერის გაკრეფა“.

თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ასევე, ისაუბრა აღნიშნულ პროცესებში სტუდენტების ჩართულობაზე. მისი თქმით, სტუდენტები მონაწილეობენ აკადემიური საბჭოს წევრების არჩევნებში და სენატის არჩევნებშიც.

თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან შეხვედრას „აუდიტორია 115“ არ ესწრებოდა. სტუდენტებმა ამ შესტით გააპროტესტეს დარეჯან თვალთვაძის გადაწყვეტილება — არ შეხვედროდა მათ არჩევნის პირველივე დღეს. თუმცა, 28 აპრილის შეხვედრაზე „აუდიტორია 115“-ის რამდენიმე წევრი სტუდენტი მაინც იმყოფებოდა. ერთ-ერთმა მათგანმა ელისაბედ გეგენავამ გამოხატვისას საკუთარი პოზიცია დააფიქსირა, როგორც სტუდენტმა.

„რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ფუნქციას არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარება. ვიცი, რომ თქვენ 10 წელია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი იყავით და იმ პერიოდში ხდებოდა ლექტორების კაბინეტებში ჩაქვიცვა და პარტიული ნიშნით გათავისუფლება. აქედან გამომდინარე, მიჭირს, იმედი მქონდეს, რომ თქვენ პარტიულ თამაშებს თავიდან აიცილებთ. ვითხოვ პირობას, რომ თუ ვინმე ჩაერევა რექტორის არჩევნებში, მაშინ დადგება თქვენი პირადი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი. ასევე, იმედი მაქვს, გამოიჩინეთ კეთილ ნებას და თქვენ არ იყრით კენჭს რექტორის არჩევნებში. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო არ დაველოდები თქვენს პასუხს და დავტოვებ დარბაზს. აქვე დაემატება, აქ არ არიან „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლები, რადგან თქვენ უარს განაცხადებთ ჩვენთან შეხვედრაზე“, — მიმართა რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა III კურსის სტუდენტმა ელისაბედ გეგენავამ.

პასუხად დარეჯან თვალთვაძემ კიდევ ერთხელ განმარტა „აუდიტორია 115“-თან

შეხვედრაზე უარის თქმის მიზეზი და, ასევე, დააზუსტა მისი დეკანად არჩევისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორთა გათავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები.

„20 აპრილს ღამის 21.30 წუთზე ვერ შევხვდი „აუდიტორია 115“-ს, რადგან ახალი გამოცხადებული გახლდათ არჩევნების შედეგები და ეთიკის ნორმები არ მაძლევდა საშუალებას დამეტოვებინებინა ხალხი, რომელთაც ასევე აინტერესებდათ ჩემი დამოკიდებულება შედეგებთან დაკავშირებით. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლდათ ის, რომ, ვფიქრობ, იმ ვითარების ფონზე, რაც წინა დღეებში არსებობდა, ჩემი მხრიდან არ იქნებოდა სწორი შეხვედროდი მხოლოდ სტუდენტების ერთ ჯგუფს. ღრმად მწამს, რომ სტუდენტების რაიმე ნიშნით დაყოფა არ შეიძლება. ყველა სტუდენტს ერთნაირად აქვს უფლება სტუდენტის უფლება-მოვალეობებით იყოს აღჭურვილი.“

რაც შეეხება ჩემი დეკანად მუშაობის პერიოდს, ეს გახლდათ 9 და არა — 10 წელი. აქედან რამდენიმე წელი დეკანის მოვალეობას ვასრულებდი. აქ საუბარი იყო, რომ უნივერსიტეტიდან პარტიული ნიშნით გაათავისუფლეს პროფესორები. აღნიშნულ ფაქტზე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ, რადგან ეს მოვლენა მოხდა 2005 წელს, 2006 წლის ზაფხულში ჩატარდა აკადემიური კონკურსი, რის შედეგადაც მე მომენიჭა პროფესორის სტატუსი, 2006 წლის ოქტომბრის ბოლოდან კი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად ამირჩიეს. წლები მოვანდომეთ, რომ ფაკულტეტების გაერთიანების შედეგად მიღებული ამორფული სტრუქტურა გაგვემართა. ამ ბრალდებასთან დაკავშირებით ეს შემძლია გითხრათ.“

ახლა რომ მთხოვენ ჯიუტად პასუხს — რა იქნება რამდენიმე თვის შემდეგ, ასევე ჯიუტად ვუპასუხებ, რომ ამ დროისთვის იმდენად ბევრი საზრუნავია უნივერსიტეტში, რომ საფიქრელად დრო არ მრჩება იმაზე — რა იქნება რამდენიმე თვის შემდეგ“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

შეხვედრაზე თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტმა პაატა ბახტურიძემ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს სთხოვა, რომ თუ საარჩევნო პროცესების დროს ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის შემთხვევა დაფიქსირდება, ამის შესახებ ინფორმაცია მათაც მიანდოს და ამ შემთხვევაში იგი ქალბატონ დარეჯანს მხარდაჭერასაც დაჰპირდა.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია სიტუაცია, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან არის ჩარევის მცდელობები.“



რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ მიცემული არაერთი პირობა სტუდენტებთან შეხვედრისას

მესამე გვერდიდან

დარეჯან თვალთვადის თქმით, აღნიშნული ვითარებიდან გამოსავალს შემოერთებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაღრმავებაში ხედავს. „ეს საკითხი სტუდენტებს ნამდვილად ანუხებთ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საკმაოდ მდიდარი წიგნები ფონდი აქვს, თუმცა აქედან დიდი ნაწილი აქტიურად მოხმარებადი აღარ არის, რადგან მეცნიერება ძალიან სწრაფად ვითარდება. უნივერსიტეტს ბევრი

ახალი სამეცნიერო ნაშრომი აქვს შექმნილი, დიდი რესურსია ელექტრონულ ბაზებშიც, რომლებზე წვდომაც თსუ-ს აქვს. რამდენიმე დღეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებს ფორუმში, შედეგად დამატებითი სამეცნიერო ჟურნალების ბაზა გვექნება. ვფიქრობ, მომავალში არჩეულმა რექტორმა და არჩეულმა კანცლერმა ერთობლივად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება და ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯი გადადგან. რაც შეეხება ახალგაზრდა სპეციალისტების დასაქმებას, ეს პრობლემა არა მხო-

ლოდ უნივერსიტეტში, არამედ ქვეყანაში არსებობს. რამდენიმე დოქტორანტის დასაქმება პოსტდოქტორანტის სტატუსით მოხერხდა, თუმცა „უმალესი განათლების შესახებ“ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა ეს საკითხი სხვა კუთხით წაიყვანა. ამ მიმართულებით პოტენციალს სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში ვხედავ. მათ საკმაოდ მდიდარი წიგნები ფონდი აქვთ. ამ ინსტიტუტებსა და ფაკულტეტებს შორის თანამშრომლობის ინტენსივობის ხარისხი უნდა გაიზარდოს. აუცილებლად უნდა ვიფიქროთ ერთობლივი სადოქტორო პროგრამების შემუშავებაზე.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ახალ მიზნებზე ორიენტირებული დოქტორანტურისა და მაგისტრატურის პროგრამების მონახაზი უკვე გაკეთდა. დარწმუნებული ვარ, რომ სხვა ფაკულტეტებზეც მიმდინარეობს მუშაობა, — აღნიშნა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა. 28 აპრილის სტუდენტებთან შეხვედრის დასრულებისას დარეჯან თვალთვადმა დააანონსა, რომ მომდევნო შეხვედრას იგი „აუდიტორია 115“-ის სტუდენტებთან გამართავს.

ნათო მობლაძე

„აუდიტორია 115“-ის წევრი სტუდენტები რექტორის მოვალეობის შემსრულებელს შეხვდნენ

თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვადი 5 მაისს სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115“-ის წევრებს შეხვდა. მანამდე კი, როცა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნებში დარეჯან თვალთვადი გამოცხადდა გამარჯვებულად და „აუდიტორია 115“-ის წევრებმა არჩევნების დღესვე მიიღო მასთან შეხვედრა, 10 წუთიანი დიალოგი მათ შორის მართლაც გაიმართა და მაშინ დარეჯან თვალთვადი „აუდიტორია 115“-ის წევრებს განუცხადა, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მთავარი ამოცანა უნივერსიტეტში სასწავლო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა და ამ ეტაპისთვის უმნიშვნელოვანესი ლეგიტიმური მართვის ორგანოების არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველყოფაა, რაშიც მას სტუდენტების და პროფესორის მხარდაჭერა ესაჭიროება.



პროფესორი ძალიან კონსტრუქციული, ეთიკური, დიპლომატიური და თავშეკავებული გახლდათ. რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ძირითადად, გარდამავალი პერიოდის პროცედურულ საკითხებზე ისაუბრა. დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს აკადემიური საბჭოს შემადგენლობის უმტკივნეულოდ გაფართოებისთვის. ამ საბჭოში პლურალიზმისა და მეტი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა ჩვენი უპირველესი მოთხოვნა იყო, — ასე შეაფასა რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან შეხვედრა „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენელმა ლევან ლორთქიფანიძემ. „შეთანხმდით, რომ ასეთი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება, მონობეულები ვართ თანამშრომლობისკენ და ქალბატონი დარეჯანისგანაც ეს მზაობა დაინახეთ“, — ასეთი კომენტარი გააკეთა შეხვედრის ბოლოს „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენელმა თორნიკე შევარდნაძემ.

თამარ დალიანი

ქალბატონი დარეჯანის ჩვენდამი დამოკიდებულება შეცვლილია. შეხვედრაზე პროფესორი ძალიან კონსტრუქციული, ეთიკური, დიპლომატიური და თავშეკავებული გახლდათ.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა 5 მაისს გამართულ შეხვედრაზე ახალი აკადემიური საბჭოს არჩევის საკითხზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მოქმედ აკადემიურ საბჭოს უფლებამოსილება 15 მაისს შეუწყდება. თსუ-ის ყოფილმა რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით, ახალი აკადემიური საბჭოს არჩევნები 11 მაისს დაინიშნა. პირველ ეტაპზე ფაკულტეტებიდან 2-2 წარმომადგენელი, სულ 14 წევრი აირჩევა. ხოლო უნივერსიტეტის წესდებებში ცვლილების შეტანის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ამ ცვლილებების დამტკიცების შემდეგ, აკადემიური საბჭო დამატებით შეივსება ფაკულტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებით. უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვადმა შეხვედრის წინ ასეთი განცხადება გააკეთა: „მინდა, სტუდენტებს უნივერსიტეტი მიმდინარე პროცესები გავაცნო — რა სირთულეები გვაქვს, რას ვგეგმავთ და რა თანამდევრობით მოხდება ეს ყველაფერი. უპირველესი საკითხი აკადემიური საბჭოს არჩევნებია, რომლის პირველი ეტაპი 11 მაისს არის დაინიშნული. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა წესდებებში შესატანი ცვლილებების პროექტზე, რომელსაც მალე წარვუდგენთ დასამტკიცებლად თსუ-ის სენატს. ამ პროექტის მიხედვით, გაიზრდება როგორც აკადემიური საბჭოს წევრთა, ასევე ფაკულტეტის წარმომადგენელ წევრთა რაოდენობა აკადემიურ საბჭოში. სენატის მიერ დამტკიცებული პროექტი გადაეგზავნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად. ჩვენი ვარაუდით, მაისის ბოლოს უნივერსიტეტს წესდების ახალი ვერსია ექნება. მხოლოდ ამის შემდეგ, 1 ივლისისთვის, მოხდება აკადემიური საბჭოს გაფართოება, რომელსაც უფლება ექნება აირჩიოს უნივერსიტეტის რექტორი, ასევე უნივერსიტეტის სხვა მმართველი ორგანოები და მისი ხელმძღვანელები, მათ შორის კანცლერიც“.

— განაცხადა დარეჯან თვალთვადი. სტუდენტებთან შეხვედრაზე რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ისაუბრა კანცლერის არჩევნებზე, ახალი აკადემიური საბჭოსა და სენატის რაოდენობრივ შესაბამისობაზე, მხარი დაუჭირა სტუდენტთა პროტესტს თსუ-ის მაღლივი კორპუსის და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მიმდებარედ დაგეგმილ მშენებლობებთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ეცდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე არსებული ბაგების 2 სტუდენტური საცხოვრებლის რემონტისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება მოიპოვოს. თუმცა, მანამდე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სტუდენტურ საცხოვრებელში აუცილებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარებას გეგმავს. თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა უპასუხა სტუდენტთა კითხვებს, მათ შორის მინიმალურ სამეცნიერო სტანდარტებზე, პროფესორის ანაზღაურების წესზე და სხვა. „ეს იყო ძალიან საინტერესო შეხვედრა. იმედი მაქვს, ასეთი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება. განსხვავებული პოზიციები და მოსაზრებები ყოველთვის არსებობს. ჩვენ ვალდებული ვართ, ამ ეტაპზე, ისე ვიმოქმედოთ, როგორც ამას მოქმედი კანონი განსაზღვრავს. სტუდენტებს სურთ და მეც ვეთანხმები მოთხოვნას — განათლების კანონში ცვლილებები შევიდეს, რათა უფრო თავისუფალი მოქმედების საშუალება გვექნება“, — განაცხადა შეხვედრის შემდეგ დარეჯან თვალთვადი. რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დადასტურა, რომ „ოდერის“ ფუნქციების შემსრულებელმა პირმა ივა კავსაძემ საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა თანამდებობა. „ქალბატონი დარეჯანის ჩვენდამი დამოკიდებულება შეცვლილია. შეხვედრაზე

საია და „აუდიტორია 115“ საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართავს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და „აუდიტორია 115“-ის წევრები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გარკვეული ნორმების არაკონსტიტუციურობის მითხზვნით მიმართავენ. საია „აუდიტორია 115“-ის წევრების ინტერესებს იცავს საკონსტიტუციო სასამართლოში. ამასთან დაკავშირებით საია-ს წარმომადგენლებმა და „აუდიტორია 115“-ის წევრებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. პრესკონფერენციის მონაწილეების განცხადებით, კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ არის გამხდარი „უმალესი განათლების შესახებ“ კანონის ის ნორმები, რაც სტუდენტური თვითმმართველობის წევრების გარდა სხვა სტუდენტებს ართმევს უფლებას აირჩიონ აკადემიური საბჭოს წევრები. ასევე გასაჩივრებული ნორმებით მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის წევრები პრესკონფერენციაში მონაწილეობას ფაკულტეტის საბჭოს დაკომპლექტების პროცესში. „ფაკულტეტის საბჭოს წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის წევრი. თვითმმართველობის არანაწევრ სტუდენტს არ აქვს აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის შესაძლებლობა. დამოუკიდებელი სტუდენტი ვერც ფაკულტეტის საბჭოს წევრს აირჩევს და ვერც ამ ორგანოში იქნება არჩეული“, — აცხადებენ კონსტიტუციური სარჩელის ავტორები. მოსარჩელები ასევე ითხოვენ ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უმალესი განათლების შესახებ“ კანონის ის ნორმა, რაც სტუდენტურ თვითმმართველობას განუსაზღვრელ უფლებამოსილებას ანიჭებს. მოსარჩელებს მიაჩნიათ, რომ ეს განუსაზღვრელი უფლებამოსილების დამდგენი ნორმა გახდა მიზეზი, რის გამოც წლების განმავლობაში სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების და სხვა პრივილეგიების პრაქტიკა ჩამოყალიბდა. მოსარჩელებს ასევე მიაჩნიათ, რომ გასაჩივრებული ნორმები წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (თანასწორობის უფლება), ვინაიდან უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევა და მასში მონაწილეობა არის სტუდენტური თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილება. „გასაჩივრებული ნორმები ასევე ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტს (გაერთიანების თავისუფლება), ვინაიდან უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობის მისაღებად სადავო ნორმები აიძულებს „აუდიტორია 115“-ის წევრებს განსხვავებული შეხედულების მქონე სტუდენტური თვითმმართველობის წევრებთან ერთად ორგანიზაციაში გაერთიანებას. სადავო ნორმები ასევე წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის 29-ე მუხლთან“, — აცხადებენ მოსარჩელები. მოსარჩელები საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმდინარე კვირაში მიმართავენ.

ტსუ-მ ახალი აკადემიური საბჭოს შეადგენლობა აირჩია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს პირველი ეტაპის არჩევნებზე 13 წევრი აირჩიეს. ტსუ-ის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი დვალაძის განცხადებით — „არჩევნების შედეგად აკადემიური საბჭოს 13 წევრი აირჩა: ირმა ხარშილაძე, ირინე ქურდაძე (იურიდიული ფაკულტეტი), ნოდარ ბელქანია, ამირან ბერძენიშვილი (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), გიორგი ლვედაშვილი, იმარ ფურთუხია (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი), თამარ აბაშიძე, რუსუდან სანაძე (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი), ელგუჯა მექვაბიძე (ვილი, მარინე მინდორაშვილი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი), პაატა იმნაძე, ნინო ოკრიბელაშვილი (მედიცინის ფაკულტეტი), ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური საბჭოს მხოლოდ ერთი წევრი გამოვლინდა — დავით გოციონიძე. ხმების თანაბარი როდენობა დააგროვეს აპოლონ სილაგაძემ და ქეთევან ხუციშვილმა. ხელახალი კენჭისყრის თარიღი უახლოეს პერიოდში დაინიშნება“.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი დვალაძის ინფორმაციით, 791 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში 666-მა მიიღო მონაწილეობა, რაც ამომრჩეველთა სრული შემადგენლობის 84,1%-ია. ტსუ-ის საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, არჩევნების პროცესს არასამთავრობო ორგანიზაციების (ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ახალგაზრდა ადვოკატები“, „განათლების რეფორმის მხარდამჭერთა ასოციაცია“) წარმომადგენლები და ინდივიდუალური დამკვირვებლები აკვირდებოდნენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენლის კონსტანტინე სალუქვაძის განცხადებით, „აკადემიური საბჭოს არჩევნები ჩატარდა გამჭვირვალედ და არანაირი დარღვევა არ დაფიქსირებულა“.

ტსუ-ის აკადემიური საბჭოს არჩევნებში მონაწილეობაზე რეგისტრაცია 35-მა კანდიდატმა გაიარა. აქედან ერთი კანდიდატი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ხარვეზის გამო მოიხსნა, ხოლო ერთმა — თავად გააუქმა განაცხადი. ტსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების 11 მაისს ჩატარების შესახებ შესაბამისი ბრძანება ტსუ-ის ყოფილმა რექტორმა ვლადიმერ პაპავამ 20 აპრილს გამოსცა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი აკადემიური საბჭო მუშაობას 16 მაისიდან შეუდგება. ვინ არიან აკადემიური საბჭოს ახალი წევრები?



ნოდარ ბელქანია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (არჩეულია აკადემიურ საბჭოში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან).

ნოდარ ბელქანია 1978 წლიდან 1990 წლამდე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მეცნიერ-მუშაკი;

1991-1998 წლებში მუშაობდა ამავე უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრაზე უფროს მასწავლებლად, ხოლო 1981-1991 წლებში იყო თბილისის ბიზნესის სკოლის (შ) დოცენტი;

1998 წლიდან 2005 წლამდე იყო სოციალური ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი; 2005 წლიდან დღემდე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

ამავე პერიოდში, კერძოდ, 2007 წლიდან 2012 წლამდე იყო ტსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ნოდარ ბელქანია აქტიურად თანამშრომლობდა უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. კერძოდ, გავლილი აქვს კვალიფიკაციის ამაღლება/პრაქტიკა უნივერსიტეტებში: ლენინგრადის უნივერსიტეტი 1973 წ.; იენის (გდრ) უნივერსიტეტი 1973-1979 წწ.; მოსკოვის უნივერსიტეტი 1975-1976 წწ.; ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი) 1983 წ.; გრაცის უნივერსიტეტი (ავსტრია) 1989 წ.; ბაზელის უნივერსიტეტი (შვეიცარია) 1994, 2008 წწ.; მერსებურგის უმაღლესი სკოლა (გერმანია) 2005 წ.; 2008 წ. გისენის უნივერსიტეტი (გერმანია) 2008 წ.; ჰამბურგის უნივერსიტეტის კომუნიკაციის ინსტიტუტი (გერმანია) 2009 წ.; ზაარლანდის უნივერსიტეტი (გერმანია) 2010 წ.; იენის უნივერსიტეტი (გერმანია) 2011, 2012, 2015 წწ.

ასევე გავლილი აქვს პრაქტიკა საზღვარგარეთის საკონსულტაციო ცენტრებში: TRIGON (ავსტრია) 1989-1991 წწ.; PI (ნიდერლანდების პედაგოგიური ინსტიტუტი, ცაისტი) 1990 წ. Sagres Services (ცაისტი, პოლანდია) 1990 წ. Sociocratic Centrum (როტერდამი, პოლანდია) 1990 წ. Stellwerk (აარუ, შვეიცარია) 1994 წ. ITM (International Trade Marketing, fridrihsdorf, გერმანია) 1997-98 წწ.

იგი მინიჭებული იყო ლექციების წასაკითხად, სემინარებისა და ვორკოპების ჩასატარებლად საზღვარგარეთის სხვადასხვა სამკურნალო-პედაგოგიურ ცენტრებში; კერძოდ, Studienhaus Rüsse (სასწავლო-პედაგოგიური ცენტრი, გერმანია) 1992-1998 წწ.; ევალანფის სოციალურ მუშაკთა უმაღლესი სკოლა (ლოზანა, შვეიცარია); რენოს სოციალური პედაგოგიკის სახლი (სენტ იმიე, შვეიცარია) 1992-2002წწ.; ბაზელის უნივერსიტეტისა და ბრიუგლინგენის ბოტანიკური ბაღის ერთობლივი საზაფხულო კონფერენცია, 1991 წ.; ბაზელის უნივერსიტეტისა და ბრიუგლინგენის ბოტანიკური ბაღის ერთობლივი საზაფხულო კონფერენცია, 1992 წ.; ბაზელის უნივერსიტეტთან არსებული ევროპის ინსტიტუტი 1994 წ. და სხვ.

ნოდარ ბელქანია აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში,

არის 35 სამეცნიერო პუბლიკაციის, მათ შორის 1 მონოგრაფიის ავტორი;



ამირან ბერძენიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების პროფესორი. (არჩეულია აკადემიურ საბჭოში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან).

ამირან ბერძენიშვილმა 1975 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, რის შემდეგაც მიენიჭა ფი-

ლოსოფოსის, საზოგადოებათმცოდნის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

1975-1978 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1981-1982 წლებში სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში.

1987 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ფილოსოფია, როგორც მსოფლმხედველობა“.

ამირან ბერძენიშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა ადამიანთმცოდნეობის, სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტში (1992-2005), საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (ფილოსოფიის კათედრის დოცენტი, 1978-1990); ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, 1994-2004; 2006-2012).

2012 წლიდან დღემდე არის ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების პროფესორი.

იგი ასევე აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა პროფესიული და არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობაში.

გამოქვეყნებული აქვს 40 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის: 5 მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო, აქვს 5 ნაშრომი რეფერირებად ნაშრომებში (ციტირების ინდექსი 2).

დაჯილდოებულია ღირსების მედლით და ღირსების ორდენით.

ამირან ბერძენიშვილის მონაწილეობით ბოლო 10 წლის განმავლობაში განხორციელდა 6 სამეცნიერო გრანტი.

არის საქართველოს სოციოლოგთა ასოციაციის წევრი; ტსუ-ის ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი (1992-2005 წლები); ტსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი (2005-2011, 2012-2016 წლები); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ ფილოსოფიის სერიის სარეკომენდაციო საბჭოს წევრი.



თამარ აბაშიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორი (არჩეულია აკადემიურ საბჭოში ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტიდან).

თამარ აბაშიძემ 1992 წელს დაამთავრა ტსუ-ის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობით. 1990-1991 წლებში სწავლობდა ზაარლანდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის მიმართულებაზე (გაცვლითი პროგრამით).

1994-1995 წლებში მოიპოვა DAAD-ის სტიპენდია.

1993-1996 წლებში სწავლობდა ტსუ-ის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტურაში; 2000 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ემოციური ფაქტორის გავლენა სააზროვნო ამოცანების გადაჭრაზე“;

1992-1994 წლებში მუშაობდა განათლების სამინისტროს გამოყენებითი ფსიქოლოგიის ცენტრში;

1996-1998 წლებში იყო ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს (NRC) ფსიქოლოგი;

1998-2003 წლებში მუშაობდა გაეროს პროექტში — „გენდერი და თანასწორობა“;

2006 წლიდან დღემდე არის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალისტი;

1996-2005 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, 2006 წლამდე ასრულებდა ტსუ-ის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას;

2001 წელს მოიპოვა ახალგაზრდა მეცნიერთა საპრეზიდენტო სტიპენდია;

თამარ აბაშიძე 2005 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორია;

არის რამდენიმე სამეცნიერო პუბლიკაციისა და 2 სახელმძღვანელოს ავტორი. მისი მონაწილეობით განხორციელდა 11 სამეცნიერო გრანტი.



რუსუდან სანაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი (არჩეულია აკადემიურ საბჭოში ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტიდან).

რუსუდან სანაძემ 2001 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის მიმართულების ბაკალავრიატი და მიენიჭა მათემატიკისა და ინფორმატიკის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

2003 წელს დაამთავრა ტსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურა და მიენიჭა განათლების მაგისტრის კვალიფიკაცია.

2003-2006 წლებში იყო ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დოქტორანტი, რის შემდეგაც დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა განათლების მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

2008 წელს დაასრულა ზაარლანდის უნივერსიტეტის და ტსუ-ის ერთობლივი პროგრამა ახალგაზრდა მეცნიერთა და დოქტორანტებისთვის, ხოლო 2009 წელს მოიპოვა DAAD-ის სტიპენდია ახალგაზრდა მკვლევარებისა და დოქტორანტებისთვის.

რუსუდან სანაძე 2002-2003 წლებში იყო ტსუ-ის სასწავლო სამეცნიერო დეპარტამენტის თანამშრომელი-სპეციალისტი, ხოლო 2007-2012 წლებში — ტსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის სამეცნიერო ინსტიტუტის მონიჭებული მასწავლებელი.

2012 წლიდან არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი.

არის არაერთი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე და 8 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.

გიორგი ლვადაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (არჩეულია აკადემიურ საბჭოში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან).



ტსუ-მ ახალი აკადემიური საბჭოს შეადგენლობა აირჩია

მეხუთე გვერდიდან

გიორგი ლევდაშვილმა 1996 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის სპეციალობით;



1996-1999 წლებში იყო ტსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტის ასპირანტი ზეგამტარობის მიმართულებით, რის შემდეგაც — 2002 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია; არის აკადემიური დოქტორი;

2000 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — იყო გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიის ინჟინერი, გამოყენებითი ელექტროდინამიკისა და რადიოტექნიკის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი;

2006-2007 წლებში მონაწილე იქნა კონტრაქტით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე, 2007-2008 წლებში იყო ტსუ-ის სამეცნიერო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, 2008 წლიდან 2010 წლამდე კი ამავე დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

2009 წლიდან არჩეული იყო ჯერ ასოცირებული პროფესორის, ხოლო შემდეგ სრული პროფესორის პოზიციაზე.

2010 წლიდან არის ტსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი.

გიორგი ლევდაშვილს წლების განმავლობაში აქტიური კონტაქტები აქვს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და სასწავლო დაწესებულებებთან. მათ შორის, იყო მონაწილე პროფესორი შვეიცარიის ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტში (ETH Zurich; 14.06.2010 – 15.07.2010); პოსტდოქტორული მკვლევარი შვეიცარიის ფედერალურ ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (04.2005-08.2005; ETH Zurich; INTAS-ის პოსტდოქტორული გრანტის ფარგლებში); პოსტდოქტორული მკვლევარი ბულგარეთის ველიკო-ტირნოვოს უნივერსიტეტში (09.2004-12.2004 INATS-ის პოსტდოქტორული გრანტის ფარგლებში);

არის სხვადასხვა ჯილდოსა და პრემიის მფლობელი, მათ შორის: 2009-2010 წელს მიიღო პრეზიდენტის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი ახალგაზრდა მეცნიერთათვის; 2008-2009 წლებში გახდა ი. ვეკუას სახელობის ახალგაზრდა მეცნიერთა სტიპენდიის მფლობელი; 2004-2006 წლებში მიიღო INTAS-ის პოსტდოქტორული სტიპენდია ახალგაზრდა მეცნიერთათვის.

გიორგი ლევდაშვილი არის სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრი, მათ შორის კვლევის ადმინისტრატორების საერთაშორისო საბჭოს (SRA International) სრული ინდივიდუალური წევრი (2010 წლიდან); მეცნიერების განვითარების მხარდამჭერი ამერიკული ასოციაციის (AAAS) პროფესიონალი წევრი (2010 წლიდან); ელექტროტექნიკის და ელექტრონიკის საერთაშორისო საინჟინრო ინსტიტუტის (IEEE) წევრი (2002 წლიდან); 2010-2013 წლებში საქართველოს ფილიალის უფროსი).

ჩართული იყო 14 სამეცნიერო გრანტის განხორციელებაში;

სხვადასხვა დროს უცხოეთის მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია.

ომარ ფურთუხია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; ტსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (არჩეულია აკადემიურ საბჭოში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან).

კულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (არჩეულია აკადემიურ საბჭოში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან).



ომარ ფურთუხიამ 1975 წელს დაამთავრა კომპაროვის სახელწოდების თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატი, 1980 წელს — ტსუ-ის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, რის შემდეგაც მიენიჭა მათემატიკის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

1980-1984 წლებში ომარ ფურთუხია სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განხრით, რის შემდეგაც დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო წოდება;

ომარ ფურთუხია 1984-2000 წლებში იყო ჯერ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი, ხოლო შემდეგ ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი;

1990-2006 წლებში იგი იყო ტსუ-ის სტოქასტური ანალიზისა და სტატისტიკური გადაწყვეტილებების ს/კ ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 2001-2006 წლებში კი — ტსუ-ის დოცენტი და ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 2006-დან დღემდე ტსუ-ის ასოცირებული პროფესორია, 2012-დან ხელმძღვანელობს ტსუ-ის მათემატიკის დეპარტამენტს.

ომარ ფურთუხიას მონაწილეობით განხორციელდა 9 სამეცნიერო გრანტი.

ბოლო 10 წლის განმავლობაში მაღალრეიტინგულ, იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 27 სამეცნიერო ნაშრომი, არის 10 სახელმძღვანელოს ავტორი.

იგი არის საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის სათათბიროს წევრი, საქართველოს სტატისტიკური ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტი, მათემატიკის ერთიანი ეროვნული საგამოცდოს კომისიის წევრი, მათემატიკის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი;

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2012 წელი).



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი. არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (არჩეულია აკადემიურ საბჭოში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან).

ელგუჯა მექვაბიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი. არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (არჩეულია აკადემიურ საბჭოში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან).

ელგუჯა მექვაბიშვილი 1978-1979 წლებში იყო შრომის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

1979-1987 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1987-1988 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი; 1988 წლიდან მუშაობდა დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სხვადასხვა დროს იყო უფროსი მასწავლებელი, ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი.

1996-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიაში, იყო საქართველოს პრეზიდენტის ეკონომიკური საბჭოს წევრი.

1998-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად.

1998 წლიდან დღემდე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სხვადასხვა დროს იყო ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, უწყვეტი განათლების მრავალპროფილიანი ცენტრის ხელმძღვანელი, კათედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი.

არის 4 მონოგრაფიის და 11 სახელმძღვანელოს ავტორი.

ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს 46 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, რეფერირებად ჟურნალებში — 15.

გაიარა ტრენინგები უცხოეთის სასწავლო დაწესებულებებში, კერძოდ: კემბრიჯის უნივერსიტეტში (1998 წ.), ბრუნელის უნივერსიტეტში (1997 წ.), მსოფლიო ბანკისა და მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტში (1996 წ.); ფონდი „ლია საზოგადოება საქართველოში“ (2001 წ.) და სხვა.

მისი მონაწილეობით შესრულებულია 11 სამეცნიერო გრანტი (პროექტი);

არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ასოცირებული წევრი (2009 წ.);

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).



მარინა მინდორაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი (არჩეულია აკადემიურ საბჭოში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან).

მარინე მინდორაშვილს 1988 წელს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი;

1986-88 წლებში იყო ტსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ხოლო 1988-93 წლებში ამავე ფაკულტეტის სტატისტიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი; 1993-2006 წლებში მარინა მინდორაშვილი აირჩიეს ტსუ-ის სტატისტიკის კათედრის დოცენტად; 2006-2010 წლებში იგი იყო ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (GAU) მონაწილე ლექტორი

მაგისტრატურის ინგლისურენოვან კურსზე მაკროეკონომიკაში; ამავე პერიოდში იყო აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID) „ბარენცგრუფ“-ის ინსტრუქტორი, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატისტიკის დეპარტამენტის მეთოდოლოგიის, კოორდინაციისა და სტანდარტების სამმართველოს უფროსის მოადგილე; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მინწვეული ლექტორი; 2011 წელს მუშაობდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის აპარატის მრჩეველად, 2006 წლიდან დღემდე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი, კითხულობს ლექციებს ტურიზმის სკოლის მაგისტრატურაში (Research Methods in Tourism and Hospitality Management (ინგლისურ ენაზე));

ჩართულია სასწავლო ლიტერატურის თარგმნის პროექტში.

არის 1 მონოგრაფიის, 6 სახელმძღვანელოს და 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი საქართველოსა და საზღვარგარეთის ჟურნალებსა და კრებულ-ებში. ასევე იყო მრავალი სამეცნიერო ნაშრომის რედაქტორი და რეცენზენტი, განხორციელებული აქვს 15 გრანტი როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში.



ირინა ქურდაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი (არჩეულია აკადემიურ საბჭოში იურიდიული ფაკულტეტიდან).

ირინა ქურდაძემ 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი; 1996 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ასპირანტურა. 2005 წლიდან არის სამართლის დოქტორი.

1998-2003 წლებში იყო გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის — „საკონსტიტუციო სასამართლოს მხარდაჭერა“ ეროვნული ექსპერტი; 1996-2004 წლებში გახლდათ ტსუ-ის ლექტორი, კათედრის გამგის ასისტენტი; 2004-2008 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი (ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატების“ წევრი); 2008-2009 წლებში გახლდათ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი; 2009-2012 წლებში იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე; 2004-2011 წლებში გახლდათ ტსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის მიმართულების ასოცირებული პროფესორი; 2012 წლიდან დღემდე არის ტსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის მიმართულების პროფესორი, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის ქვემიმართულების ხელმძღვანელი.

ირმა ხარშილაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი (არჩეულია აკადემიურ საბჭოში იურიდიული ფაკულტეტიდან).

ტსუ-მ ახალი აკადემიური საბჭოს შეადგენლობა აირჩია

მეექვსე გვერდიდან



ირმა ხარშილაძემ 1989 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1992 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტურა ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით, 1994 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სამართლებრივი სტატუსი“ და მიენიჭა სამართლის დოქტორის ხარისხი.

1995 წლის 1 სექტემბრიდან იყო ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საფუძვლების კათედრის მასწავლებელი.

1998 წლის 2 ნოემბრიდან გახლდათ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მეთოდისტი და მეთოდსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.


2003 წლის 23 ოქტომბრიდან იყო ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამართლის კათედრის დოცენტი.

2005 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 22 მარტამდე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამართლის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, 2015 წლის 23 მარტიდან დღემდე არის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული

სამართლის მიმართულების პროფესორი. 2006-2009 წლებში იყო კავკასიის სამართლის სკოლის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამართლის მიმართულების პროფესორი.

2006-2009 წლებში იყო ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამართლის ასოცირებული პროფესორი.

კარგად ფლობს ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებს. არის არაერთი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.



პაატა იმნაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი (არჩეულია აკადემიურ საბჭოში მედიცინის ფაკულტეტიდან).

პაატა იმნაძემ 1976 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი.

1997 წელს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კათედრის დოცენტი; 1997-1998 წლებში — მერილენდის უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკი; 1992 წლიდან არის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი, ხოლო 2005 წლიდან — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის კათედრის სრული პროფესორი;

1983 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ახალშობილთა და ჩვილ ბავშვთა

ნაწლავის მიკროფლორა და იმუნური სტატუსი“;

არის სხვადასხვა ორგანიზაციისა და ასოციაციის წევრი: კერძოდ, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ტროპიკულ დაავადებათა კვლევის ევროპის რეგიონის იმუნოზაციის ექსპერტთა კომიტეტის წევრი (2004 წ.); ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ტროპიკულ დაავადებათა კვლევის საკოორდინაციო საბჭო, წევრი (2003-2006 წწ.);

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2003 წ.); ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საპატიო მედალი (2002 წ.);

არის 105 სამეცნიერო ნაშრომისა და მიკრობიოლოგიის ორი სახელმძღვანელოს ავტორი.



ინოე ოპრიპალაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი (არჩეულია აკადემიურ საბჭოში მედიცინის ფაკულტეტიდან).

განათლება: 1978-1984 წწ. დიპლომამდელი განათლება: სპეციალობა „სამკურნალო საქმე“, თსსუ; 1984-1984 წწ. კლინიკური ორდინატურა ფსიქიატრიაში, თსსუ; 1990 წ. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი; 1999 წ. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. 2000-2002 წწ. საქართველოს პრეზიდენტის პირველი ხარისხის სტიპენდიანტი;

2012 წლიდან არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიის და სამედიცინო ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი (სხვადასხვა დროს ეკავა ასისტენტის, დოცენტის, პროფესორის თანამდებობები).



დავით ზონიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (არჩეულია აკადემიურ საბჭოში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან).

დავით ზონიძემ 1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი;

არის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1987 წლიდან), პროფესორი (1989 წლიდან);

1978 წელს მუშაობდა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში;

1987-2006 წლებში იყო რუსული ენის კათედრის გამგე;

2006-2009 წლებში მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში;

2009 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი;

მისი სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროა ზოგადი ენათმეცნიერება, კომუნიკაციის თეორია, თარგმანის თეორია და ისტორია. არის რამდენიმე პროფესიული სამეცნიერო საზოგადოების წევრი, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.



ტსუ-ის დოქტორანტის წარმატება

2015 წლის 10 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და კიოლის უნივერსიტეტებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სადოქტორო დისერტაციის ერთობლივი ხელმძღვანელობის შესახებ. ორივე ხელმოწერმა უნივერსიტეტმა განაცხადა თანხმობა სადოქტორო ნაშრომის მომზადების შესახებ, რომლის დაცვა მოხდებოდა ამ უნივერსიტეტების ერთობლივი პასუხისმგებლობის ქვეშ. ხელშეკრულება ეხებოდა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დოქტორანტს ზარა ბაღდასარიანს, რომლის ხელმძღვანელები იყვნენ თსუ-ის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ ლომიძე და ქ. იულიხის კვლევითი ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ჰანს შტროერი. ხელშეკრულების მიხედვით უნივერსიტეტები აღიარებენ ერთობლივი ხელმძღვანელობის შედეგს და მინიჭებულ სადოქტორო ხარისხს ფიზიკაში.

კიოლის უნივერსიტეტი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის დაარსებიდან ორ წელიწადში, 1388 წელს დაარსდა და ევროპის უძველეს უნივერსიტეტებს მიეკუთვნება. 1789 წელს, ე.წ. ფრანგული პერიოდის დროს იგი დაიხურა და მხოლოდ 1919 წელს აღდგა კიოლის ახალი უნივერსიტეტის სახელით. 2015 წლის ზამთრის სემესტრში 49.000-ზე მეტი სტუდენტით (დოქტორანტების გარდა, მოკლევადიანი სტუდენტების ჩათვლით) იგი სიდიდით გერმანიის მესამე უნივერსიტეტია. კიოლის უნივერსიტეტი შედგება ექვსი — ეკონომიკისა და სოციოლოგიის, მედიცინის, სამართლის, ფილოსოფიის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის-



მარცხნიდან მარჯვნივ: ნოდარ ლომიძე, ანდრო კაჭარავა, დეგლევი გოტა, მირიან ტაბიძე, მერაბ ელიაშვილი, ზარა ბაღდასარიანი, ალექსანდრე ალტლანდი, ჰანს შტროერი

გან. კიოლის უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ: ნობელის პრემიის ლაურეატი ქიმიკი (1950 წ.) - კურტ ალდერი (Kurt Alder); ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკაში (2007 წ.) - პეტერ გრიუნბერგი (Peter Grünberg); ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურაში (1972 წ.) - ჰენრიხ ბოლი (Heinrich Theodor Böll) და მსოფლიოში ცნობილი სხვა მეცნიერები. კიოლის უნივერსიტეტი მსოფლიოს უნივერსიტეტების აკადემიური რეიტინგების სიაში 151-200 პოზიციაზე

იმყოფება, რაც უდავოდ დიდი წარმატებაა ნებისმიერი უნივერსიტეტისთვის.

ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების რეალიზება მოხდა 2016 წლის 11 აპრილს, როდესაც კიოლის უნივერსიტეტის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე შედგა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტის ზარა ბაღდასარიანის სადოქტორო დისერტა-

ციის დაცვა ფიზიკაში. კომისიის შემადგენლობაში (იულიხის კვლევითი ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი ჰანს შტროერი, თსუ-ის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ნოდარ ლომიძე, თსუ-ის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში პროფ. მერაბ ელიაშვილი, კიოლის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ალტლანდი, თსუ-ის ექსპერიმენტული ინფორმაციის მოდელური ანალიზის ლაბორატორიის გამგე მირიან ტაბიძე, იულიხის კვლევითი ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელი დეტლევ გოტა) დისერტაციის პრეზენტაციისა და საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შედეგად ზარა ბაღდასარიანს ერთხმად მიანიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიოლის უნივერსიტეტის ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს წარმატება თსუ-ის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტისა (მეფი) და ქ. იულიხის კვლევითი ცენტრის მრავალწლიანი სამეცნიერო კონტაქტების ერთ-ერთი შედეგია, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით თსუ-ის მეფის დირექტორს პროფ. მიხეილ ნიორაძეს, ქ. იულიხის კვლევითი ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელს ანდრო კაჭარავას, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, პროფ. რამაზ ზოჭორიშვილსა და ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ, რათა აღზარდონ ფიზიკოსთა მომავალი კონკურენტუნარიანი თაობა.

ნოდარ ლომიძე, თსუ-ის მეფის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი



ივანე ჯავახიშვილი – 140

ვინ გაიზარდა ივანე ჯავახიშვილის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მესამე წელია ტარდება ივანე ჯავახიშვილის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმი, რომელზეც კონკურსის წესით შერჩეულ მოხსენებებს კითხულობენ როგორც უნივერსიტეტის პროფესორები, ასევე სამივე საფეხურის სტუდენტები ყველა ფაკულტეტიდან.

ფორუმი ემსახურება უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი გარემოს გაუმჯობესებას და მეცნიერ-მკვლევართა და სტუდენტთა ნახალისებას, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია მიზნისკენ – რეგიონში პირველი უნივერსიტეტი გახდეს ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფილი კვლევითი სასწავლო დაწესებულება.

23 და 25 აპრილს უნივერსიტეტში მორიგი ფორუმი გაიმართა. წარდგენილი იყო 7 პროფესორისა და 17 სტუდენტის მოხსენება, რომელთა ავტორებსაც გადაეცათ სერტიფიკატები და ნაშახლისებელი ფულადი ჯილდოები: პროფესორებს 5 ათასი ლარის, დოქტორანტებს 1500 ლარის, მაგისტრანტებს 1000 ლარის, ხოლო ბაკალავრიატის სტუდენტებს 500 ლარის ოდენობით.

ფორუმი გახსნა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ. მან დამსწრე საზოგადოებას ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავი მიულოცა და აღნიშნა, რომ სამეცნიერო ფორუმი, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა, აკადემიკოს ლადო პაპავას ინიციატივით დაარსდა და მეცნიერებისა და კვლევის ნახალისების კარგ ფორმად ჩამოყალიბდა. „ჩვენ დღეს თითოეულ ფაკულტეტზე ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაკეთებულ საუკეთესო კვლევის ამსახველ პრეზენტაციას წარმოგიდგენენ, რათა ყველამ შევადგინოთ — სწორად ვითარდება თუ არა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა“, — აღნიშნა მან.

2016 წლის სამეცნიერო ფორუმის გამარჯვებულები მეცნიერთაგან გახდნენ: პროფესორი **ელგუჯა მიქაბერიძე** სამეცნიერო მოხსენებით: „გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე“ (ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტი); პროფესორი **თამაზ კერესელიძე** მოხსენებით: „შტურმის სფეროდალური ფუნქციები და მათი გამოყენება ორატორიან მოლექულურ გამოთვლებში“ (ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი); პროფესორი **ირაკლი ბურდული** მოხსენებით: „სააქციო სამართლის საფუძვლები“ (იურიდიული ფაკულტეტი); პროფესორი **თინათინ ცაიშვილი** სამეცნიერო მოხსენებით: „C ჰეპატიტის ვირუსის უნიკალური შრეკომბინატორული ფორმის RFL-23/18 გავრცელება და მისი მნიშვნელობა C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამისათვის“ (მედიცინის ფაკულტეტი); ასოცირებული პროფესორი **ლია წულაძე** წამოიხატა: „დასავლური წარმოსახვა და წარმოსახვითი თავდაცვითი სტრატეგიები აღმოსავლეთ ევროპასა და მის მოსაზღვრე რეგიონებში“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი); პროფესორი **ლალი სურმანიძე** მოხსენებით: „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და რამდენიმე შტრახი თანამედროვე ქართველთა პორტრეტისათვის“ (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი); პროფესორი **ზორა ჯაფარიძე** მოხსენებით: „ახალი მასალები წმინდა მინაზე ქართული სამონასტრო თემის ისტორიის შესახებ“ (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი).

გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისი და მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე



ელგუჯა მიქაბერიძე, ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის პროფესორი:

— მოხსენება მსოფლიო პრობლემას — 2007-2008 წლების გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს, მისი წარმოშობის მიზეზებს, განვითარების ლოგიკას, პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ შედეგებსა და, რაც მთავარია, საქართველოს ეკონომიკაზე ამ კრიზისის გავლენას შეეხება. მოხსენება ორნაწილიანია. პირველი ნაწილი ასახავს 2007-2008 წლების კრიზისის გავლენას მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე, ხოლო მეორე შეეხება გლობალური ეკონომიკის პოსტკრიზისულ განვითარებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც. დავასკვნენ, რომ, როგორც კრიზისმა, ასევე პოსტკრიზისული განვითარების ტენდენციებზეც პირდაპირ იქონია ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, ვინაიდან ჩვენ გვაქვს მცირე ზომის სუსტი ეკონომიკა, რომელიც გახსნილობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა და, შესაბამისად, ნებისმიერი პროცესი, რომელიც გლობალური მასშტაბით მიმდინარეობს, ჩვენს ეკონომიკაზე ზეგავლენას ახდენს. ეს თეზისი დასაბუთებულია სავალუტო კრიზისის იმ მაგალითით, რომელიც საქართველოში 2014-2015 წლებში განვითარდა. დავასკვნენ, რომ ეს იყო მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების, განსაკუთრებით აშშ დოლარის გამყარების, პირდაპირი შედეგი, რომელსაც, რა თქმა უნდა, დაემთხვა შიდა პრობლემებიც.

ჩვენს ფაკულტეტზე საკმაოდ დიდი კონკურენცია იყო და ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, რომ 7 მოხსენებიდან ჩემი შეარჩიეს. ეს პატივია და ძალიან საამაყო. ვფიქრობ, საფუძველი ჩაეყარა კარგ ტრადიციას, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული ბატონ ლადო პაპავას სახელთან. იმედი მაქვს, რომ ეს ტრადიცია სხვა რექტორების მმართველობის დროსაც გაგრძელდება.

C ჰეპატიტის ვირუსის უნიკალური რეკომბინატორული ფორმის RFL-23/18 გავრცელება და მისი მნიშვნელობა C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამისათვის

თინათინ ცაიშვილი, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი:

— ჩემი მოხსენების თემა არის C ჰეპატიტის ვირუსის უნიკალური რეკომბინატორული ფორმების გავრცელება საქართველოში

და მათი მნიშვნელობა C ჰეპატიტის მკურნალობის გასაუმჯობესებლად. კვლევა, ასევე C ჰეპატიტის ეროვნული ელიმინაციის პროგრამის შედეგებს ეხება. C ჰეპატიტს აქვს 6 გენოტიპი, მაგრამ არსებობს კიდევ ე.წ. რეკომბინატორული ფორმები, რომელიც პირბიდულია — ის არც პირველი გენოტიპია და არც — მეორე. ჩვენ საქართველოში რეკომბინატორული ვირუსის გავრცელება შევისწავლეთ, რაც იოლი არ გახლდათ. მის გამოსავლენად საჭიროა მაღალტექნოლოგიური მეთოდები, ჩვეულებრივ კლინიკებში მისი დიაგნოსტიკა ვერ ხერხდება. კვლევის შედეგები ძალიან საინტერესოა. დავადგინეთ, რომ C ჰეპატიტის მეორე გენოტიპი სინამდვილეში რეკომბინატორული ფორმაა. საყურადღებოა, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ეს ფორმა ყველაზე მეტად გავრცელებულია. როდესაც სხვა ქვეყნებში მისი გავრცელება 1 ან 2 %-ია, საქართველოში 65%-ზე მეტია. ჩვენ მას ვმკურნალობთ როგორც მეორე გენოტიპს და



ლია წულაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

— მინდა მაღლობა გადავუხადო ყველას, ვინც დააფასა ჩემი კვლევა, რომელიც რამდენიმე წლის წინ, „ფოლკსგაგენის“ ფონდის დაფინანსებითა და „ახალი ევროპის კოლეჯის“ მხარდაჭერით, სამ ქვეყანაში: საქართველოში, პოლონეთსა და რუმინეთში ჩატარდა. ჩემი მიზანი იყო, გამოემკვლია ამ სამი ქვეყნის ახალგაზრდების დისკურსი ევროპეიზაციასთან დაკავშირებით. მოხსენება, რომელსაც ახლა წარვადგენ, ამ დიდი კვლევის ნაწილია. პოლონეთი და რუმინეთი უშუალოდ ესაზღვრება პოსტსაბჭოურ სივრცეებს და პოსტკომუნისტური ქვეყნები, თუმცა ევროკავშირის წევრებიც, არიან. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ პოლონეთი აღმოსავლეთ გაფართოების პირველი ტალღის ქვეყანაა და, როგორც შენგენის, ისე ევროკავშირის წევრია. რუმინეთი გაფართოების მეორე ტალღის ქვეყანა გახლავთ და მხოლოდ ევროკავშირის წევრია, ხოლო საქართველო — არც ერთის. მაინტერესებდა, ახდენდა თუ არა ევროკავშირთან ინტეგრაციის ზუსტი ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია.

შტურმის სფეროდალური ფუნქციები და მათი გამოყენება ორატორიან მოლექულურ გამოთვლებში

თამაზ კერესელიძე, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— ჩემი კვლევა 2-ატომიანი მოლექულურ მასხასათებელი პარამეტრების თეორიულ გამოთვლებს შეეხება. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს მოლექულური უდავოდ როლს თამაშობენ, ამიტომ მათი პარამეტრების ზუსტი ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია.



ჩვენ ატომურ და მოლექულურ ფიზიკაში მომუშავე ფიზიკოსებს შევთავაზეთ ახალი მეთოდი, რომელიც ძალიან ეფექტური და პერსპექტიული აღმოჩნდა.

მახარებს, რომ ჩემმა მოხსენებამ ასეთი ინტერესი გამოიწვია. საკუთარ უნივერსიტეტში და ფაკულტეტზე სამეცნიერო ფორუმში გამარჯვება დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან, როდესაც საერთაშორისო აღიარების გარდა, საკუთარ ქვეყანაშიც გალიარებენ, ორმაგად სასიამოვნოა.

დასავლური წარმოსახვა და წარმოსახვითი თავდაცვითი სტრატეგიები აღმოსავლეთ ევროპასა და მის მოსაზღვრე რეგიონებში

ლია წულაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

— მინდა მაღლობა გადავუხადო ყველას, ვინც დააფასა ჩემი კვლევა, რომელიც რამდენიმე წლის წინ, „ფოლკსგაგენის“ ფონდის დაფინანსებითა და „ახალი ევროპის კოლეჯის“ მხარდაჭერით, სამ ქვეყანაში: საქართველოში, პოლონეთსა და რუმინეთში ჩატარდა.



ჩემი მიზანი იყო, გამოემკვლია ამ სამი ქვეყნის ახალგაზრდების დისკურსი ევროპეიზაციასთან დაკავშირებით. მოხსენება, რომელსაც ახლა წარვადგენ, ამ დიდი კვლევის ნაწილია. პოლონეთი და რუმინეთი უშუალოდ ესაზღვრება პოსტსაბჭოურ სივრცეებს და პოსტკომუნისტური ქვეყნები, თუმცა ევროკავშირის წევრებიც, არიან. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ პოლონეთი აღმოსავლეთ გაფართოების პირველი ტალღის ქვეყანაა და, როგორც შენგენის, ისე ევროკავშირის წევრია. რუმინეთი გაფართოების მეორე ტალღის ქვეყანა გახლავთ და მხოლოდ ევროკავშირის წევრია, ხოლო საქართველო — არც ერთის. მაინტერესებდა, ახდენდა თუ არა ევროკავშირთან ინტეგრაციის ზუსტი ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია.

ვინ გაიმარჯვა ივანე ჯავახიშვილის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმში

მერვე გვერდიდან

ციის ხარისხი და ხანგრძლივობა გავლენას ამ ქვეყნებში მცხოვრები ახალგაზრდების დისკურსებზე ევროპეიზაციასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ, ახალგაზრდების დისკურსი ამ სამეცნიერო ფორუმში მსგავსია და მათ ამბივალენტურ დამოკიდებულებას გამოხატავს ევროპეიზაციის მიმართ — თან სურთ ევროპეიზაცია მთელი რიგი პრაგმატული მოსაზრებების, განსაკუთრებით, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური საკითხების გამო და თან ეროვნული იდენტობის საფრთხეებს ხედავენ. ეს სტატია აღნიშნული კვლევის ნაწილია და ეხება იმ ძირითად დისკურსებს, ე.წ. დასავლურ წარმოსახვას, თუ როგორ უყურებს დასავლეთი ევროპა მის აღმოსავლეთით მდებარე ახალი გაფართოების ტალღის ქვეყნებს და როგორ განაპირობებს ეს ხედვა და შესაბამისი დისკურსები ამ ქვეყნებში თავდაცვითი სტრატეგიების განვითარებას.



— წმინდა მინაზე, პალესტინაში, იერუსალიმში, შუა საუკუნეებში ბევრი ეკლესია-მონასტერი გვექონდა. ქართული საისტორიო წყაროები უაღრესად მცირეა და ადეკვატურად ვერ ასახავს ქართველების იმ მოღვაწეობას, რომელიც მათ წმინდა მინაზე გაშალეს. სამაგიეროდ, არსებობს წყაროები უცხოელი პოლიტიკოსებისა, რომლებიც წმინდა მინაზე ჩადიდებულ და აფიქსირებდნენ სხვადასხვა ეკლესია-მონასტერს, მათ შორის, ქართველების მონასტრებსაც. დღეს ქართველი მეცნიერები ამ საკითხებს მცირერიცხოვანი წყაროებით სწავლობენ. ბოლო დროს აქტიულოდ გახდა აღმოსავლური ნარატიული და დოკუმენტური წყაროები, რომელიც მამელუქთა და ოსმალთა ბატონობის დროინდელია. მე ბოლო წლების მანძილზე ვმუშაობდი არაბულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებზე, რომელშიც მოცემულია მასალები ქართული საგანების შესახებ. უამრავი დოკუმენტი, რომელიც იერუსალიმის ბერძენ მართლმადიდებელთა საპატრიარქოს ბიბლიოთეკაშია დაცული. 10-მდე პუბლიკაცია მაქვს უშუალოდ ამ საკითხების შესახებ. დღევანდელ მოხსენებაში საოცარი ცნობებია შესული ეგვიპტის სულთნებისა და დიდმოხელეთა ბრძანებების, სასამართლო ოქმების, საიჯარო დოკუმენტების, ვალეების თაობაზე. მოხსენებაში წარმოდგენი-

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და რამდენიმე შტრიხი თანამედროვე ქართველთა პორტრეტისათვის



ლალი სურმანიძე, ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— ჩემი მოხსენება შეეხება, ერთი მხრივ, განწყობის თეორიის პერსპექტივებს ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ფარგლებში, რომელიც ჩემი სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფეროა. კვლევის მეორე ნაწილში წარმოდგენილია თანამედროვე ქართველთა ცნობიერებისთვის დამახასიათებელი კულტურული მოდელები, რომელიც გამოვლენილია სხვადასხვა დროს ჩატარებული ემპირიული კვლევებით. კულტურული მოდელები მნიშვნელოვანია, რადგან ის წარმოადგენს გარკვეულ მექანიზმებს გარემოში ადამიანის ფუნქციონირებისთვის, აკულტურაციისა და განვითარების პროცესებისთვის და ასე შემდეგ. კვლევები სხვადასხვა დროს ჩატარდა და პიროვნული კრიტერიუმების მოდელს და ქართველთა ცნობიერების რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართებას შეეხება.

ეს სამეცნიერო ფორუმი უნივერსიტეტის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს არის არა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის პატივის მიგება, არამედ დიდი სტიმული პროფესორისა და სტუდენტებისთვის კვლევების წარმოებისა და წარმოდგენისთვის. წინა წლებში ჩატარებული სამეცნიერო ფორუმების შედეგებიც გვიჩვენებს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძალიან საინტერესო რესურსია, პირველ რიგში პროფესურაზე ვსაუბრობ, რომლებიც ნამდვილად ღირებულ და საინტერესო კვლევების აწარმოებენ.

ახალი მასალები წმინდა მინაზე ქართული სამონასტრო თემის ისტორიის შესახებ

გოჩა ჯავახიშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

სოციალური სანარმოების ეკონომიკის განვითარებაზე ზეგავლენის ანალიზი

მაია გომრბალიძე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის სტუდენტი:

— ჩემი თემა შეეხებოდა სოციალური სანარმოების განვითარების ეკონომიკაზე ზეგავლენის ანალიზს (ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე, თანახელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე). თავდაპირველად მიმოვიხილე, რას ნიშნავს სოციალური სანარმო და აღვნიშნე, რომ არსებობს ევროპული და ამერიკული მიდგომა. ამერიკული მიდგომა ორიენტირებულია სოციალური მიზნის მიღწევაზე, ოღონდ ის იყენებს ბიზნეს-სტრატეგიებს, მაშინ როცა ევროპული, უფრო ფართო მიდგომით, სოციალურ სანარმოებს სოციალური ეკონომიკის ნაწილად მოიაზრებს. საქართველოში, ამ მხრივ, განსხვავებული შეხედულებაა და ამ თემაზე საუბარი ახლა მიმდინარეობს. 2015 წლის ივლისში სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების ცენტრმა პარლამენტში წარადგინა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელსაც თან ახლდა განმარტება და კრიტერიუმები, თუ რას ნიშნავდა სოციალური სანარმო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ინიციატივა არ მიიღეს.

არსებობს ევროპული კვლევითი ცენტრი, რომელმაც შეიმუშავა სოციალური და ეკონომიკური კრიტერიუმები, რის მიხედვითაც გამოყოფენ სოციალურ სანარმოს. იტალიაში ამ ტიპის სანარმო რეგისტრირებულია, როგორც სოციალური კოოპერატივი, ბელგიაში — როგორც სოციალური ტიპის კომპანია და სხვა. ევროპაში მთელი საშუალო ძალის 6.5% — 40 მილიონი ადამიანი სოციალურ სანარმოებშია დასაქმებული.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა კვლევა, რომლითაც დადგინდა, რომ გადასახადების გადამხდლებს, მათ მიერ დახარჯული ყოველ 100 000 დოლარზე, 131 000 დოლარი,

ბული პროფესორი ნაზირა კაკულია). თეორიული მსჯელობის საფუძველზე, საქართველოს ხარჯები დაყავით 3 ძირითად ჯგუფად: სოციალური ხარჯების ჯგუფი, ეკონომიკური და მდგრადი ხარჯების ჯგუფი და თავდაცვა-უსაფრთხოების ხარჯების ჯგუფი. ამის საფუძველზე გავაკეთეთ ანალიზი, თუ რა თანხა იხარჯებოდა კონკრეტული მიმართულებით, რომელი მიმართულებით დახარჯული თანხა შეიძლება იყოს უფრო ეფექტური ქვეყნისთვის და რა არის სხვადასხვა მიმართულებაზე თანხების გადანაწილების ზოგადი სტანდარტი. მაგალითისთვის — საქართველოში ბოლო 9 წლის განმავლობაში დახარჯული თანხებიდან სამხედრო მიმართულებით განუხლები ხარჯები შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის 4.5%-ს, თუმცა, საერთაშორისო სტანდარტით, სამხედრო ხარჯები, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, 1.5%-დან 2.2%-მდე უნდა მერყეობდეს. შესაბამისად, მსგავსი კუთხით გავაანალიზეთ, რა მოცულობის დანაზოგს მიიღებდა ქვეყანა, თუკი სამხედრო ხარჯების ოდენობა ნორმაში იქნებოდა. საშუალოდ, ეს ერთმილიარდლოარანი გამოთავისუფლება შეგვძლებინებდა, სხვა მიმართულებით დაგეხარჯა აღნიშნული თანხა.

საქართველოში მცირა და საშუალო ბიზნესის განვითარების სტატისტიკური ანალიზი

ნინო ბელაშვილი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი:

— ჩემი მოხსენება (ხელმძღვანელი — ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე) საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტატისტიკური პროგნოზირება გახლდათ და როგორც ამ პრობლემის საქართველოში არსებობას, ასევე მის გარკვეულ მაჩვენებლებსა და უშუალოდ იმ ღონისძიებებს შეეხებოდა, რომელთა წყ-



ლია ახალი მასალები სვეტიცის მონასტრის შესახებ. მასში ქრონოლოგიურად არის მოცემული, თუ რა ცნობები გავაჩნია ამ მონასტრზე. მოძიებული დოკუმენტების მიხედვით ვიგებთ, რომ მას ჰქონდა ყველაფერი, რაც სამეურნეო ცხოვრებისთვის იყო საჭირო.

ამ სამეცნიერო ფორუმს დიდი მნიშვნელობა აქვს და ბატონ ლადოს მისი დაფუძნებისთვის დიდი მადლობა უნდა მოვასხენოთ. მიხარია, რომ გავიმარჯვე და აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებას წარმოვადგენ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ასეთ სამეცნიერო ფორუმებს მეცნიერების განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

წლევანდელ სამეცნიერო ფორუმზე უნივერსიტეტის სამივე სასწავლო საფეხურის 17 გამარჯვებული სტუდენტის მოხსენება იქნა წარმოდგენილი.

სოციალური სარგებლის სახით, უკანვე უზუნდებოთ. სოციალურ სანარმოებს სხვადასხვა სექტორში მოიაზრებენ: ეს შეიძლება, იყოს სახელმწიფო სექტორისა და კერძო სექტორის ან კერძო სექტორისა და მესამე სექტორის თანაკვეთა. მის მიმართ მიდგომა კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა.

სახელმწიფო სარგებლის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე

კახა დაუშვილი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი:

— ჩემი თემა ეკონომიკის განვითარებაზე საქართველოს საბიუჯეტო ხარჯების გავლენას შეეხებოდა (ხელმძღვანელი ასოცირე-

ალობითაც, არსებული პრობლემის აღმოფხვრა შესაძლებელი იქნება. დავასკვნით, რომ საჭიროა, საქართველოში არსებობდნენ კონკურენტუნარიანი მწარმოებლები და როგორც თავად ბიზნესი, ასევე გარემოც თავისუფალი იყოს.

თხალი დილაქტრიკული ფირების მიღების დაბალტექნოლოგიური ტექნოლოგიების შიშვანება

ლალო ჯიბუშტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი:



306 გაიმარჯვა ივანე ჯავახიშვილის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმში

მეცხრე გვერდიდან

ჩემი თემა შეეხებოდა თხელი დიელექტრიკული ფირების მიღების ტექნოლოგიას (ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ამირან ბიბილაშვილი). მიკროელექტრონული ხელსაწყოები წარმოადგენენ თანამედროვე ელექტრონიკის საფუძველს. მარტივი საყოფაცხოვრებო ტექნიკიდან დაწყებული, კოსმოსური საფრენი აპარატების მართვით დამთავრებული, ყველაგან გამოიყენება ინტეგრალური მიკროსქემები (იმს) და მათზე შექმნილი სისტემები. მათ ძირითად ელემენტს კი წარმოადგენს დიელექტრიკი. ამდენად, დიელექტრიკის პარამეტრები განსაზღვრავს ინტეგრალური მიკროსქემების და, ზოგადად, მათზე შექმნილი სისტემების პარამეტრებს და მუშაობის ხარისხს. დიელექტრიკული ფირების ფორმირების სტანდარტული ტექნოლოგია მაღალტემპერატურულია (1150° C). ასეთ ტემპერატურაზე მიმდინარეობს დიელექტრიკში არასასურველი მინარევების დიფუზია, ფორიანობის გაზრდა, ქვესაფენთან ადგილობრივი გაუარესება და ა.შ. სტანდარტული ტექნოლოგიის ალტერნატივად მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტში შეიქმნა მეტალების და ნახევარგამტარების დაჟანგვის პლაზმური ანოდირების მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა შექმნიდეს დიელექტრიკების ფორმირების ტემპერატურა. გარდა ამისა, პლაზმური ანოდირების მეთოდი ადვილად კონტროლირებადია, ვაკუუმშია, ანუ „მშრალია“. შედეგად მიიღება მაღალხარისხის მქონე მინარევილი პარამეტრებით.

საქართველოს ევროკავშირის ევროკავშირში განაწესების ძირითადი სამართლებრივი ასპექტები

ირაკლი სამხარაძე, იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

ჩემს ნაშრომში (ხელმძღვანელი პროფესორი გიორგი ხუბუა) გააზრებულია ევროპის პოლიტიკის დინამიკა საქართველოში. მოხსენება მიზნად ისახავდა შეგვესწავლა საქართველოს ევროპეიზაციის არსი, რაც ფართო თემაა და ამიტომაც ავირჩიე გარკვეული აქცენტები, რომლითაც შევძელით, იურიდიული ჩრდილი გამოგვეკვლია ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შინაარსი და შეგვეფასებინა გაერთიანებაში საქართველოს განვლილი რამდენიმე ძირითადი ასპექტი. ეს საკითხი აქტუალურია, გამომდინარე იქიდან, რომ ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოეწერა სულ რამდენიმე წლის წინ — 2014 წელს.

მოხსენება დაიწყო ორ დიდ ნაწილად. პირველ ნაწილში განვიხილეთ ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის სამართლებრივი რეგულირების საკითხები, ხოლო მეორე ნაწილში ვიმსჯელებთ, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოს ევროპეიზაცია ევროკავშირთან მიმართებით.

ძირითადი დასკვნები შემდეგნაირია: ევროკავშირის გაფართოების ფილოსოფია ეფუძნება ძირითადად ლიბერალურ პრინციპს, თუმცა სადავო ამ სივრცეში ინტეგრირების სიმარტივის ხარისხი. ნევრობის მაძიებელი ქვეყნებისთვის, ცხადია, ამ შემთხვევაში საქმე ეხება საქართველოს. აუცილებელი სამი კრიტერიუმის: სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიტერიუმების დაცვა. სამართლებრივი კრიტერიუმები აუცილებელია მაღალი საკანონმდებლო სტანდარტების ჩვენება, მაგრამ, ეს არის პოლიტიკური ნების გამოვლენის საკითხი და ამიტომ ვინაირ სამართლებრივი ჩრდილი ამ საკითხზე მსჯელობა აზრს მოკლებულია. ნაშრომის ამ ნაწილში დავასკვნით, რომ მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, საქართველო არც აკმაყოფილებდეს ევროკავშირში განვლიანების სამართლებრივი კრიტერიუმებს, ამ საკითხზე მსჯელობა არის მნიშვნელოვანი,



რადგან მათი გადაწყვეტა დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე.

მეორე ნაწილში ვიმსჯელებთ საქართველოს ევროპეიზაციის პოლიტიკაზე. აქ განვიხილეთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა და დავასკვნით, რომ ევროპეიზაციის კუთხით ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება. მთავარი ინოვაცია არის ასოცირების ხელშეკრულება რომელიც საკანონმდებლო აქტი და საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც მაღალ სტანდარტებს უსახავს საქართველოს. შესაბამისად, აუცილებელია, რომ საქართველო დაემორჩილოს ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებს, რადგან ის გულისხმობს სამართლებრივ მონესრიგებას, რათა საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი.

პატიმრობა ადრეფოდალური პერიოდის (V-VIII საუკუნეების) ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით

თორნიკე ნემსწერიძე, იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი

ჩემი თემა შეეხებოდა პატიმრობას როგორც სასჯელს ადრეფოდალური პერიოდის (V-VIII საუკუნეების) ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით, რაც ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერებაში, ფაქტობრივად, არ არის შესწავლილი (ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მარინა გარიშვილი).

მეცნიერულად რომ შევისწავლოთ ეს სასჯელი, აუცილებელია იმ წყაროების შესწავლა, რომლებიც ეხება პატიმრობის სამართლებრივ ბუნებას. აღსანიშნავია, რომ განსახილველ პერიოდში მოქმედი სამართლის ძეგლი არ მოგვეპოვება, ამიტომ აუცილებელი გახდა ჰაგიოგრაფიული ძეგლების, როგორც ქართული სამართლის არაპირდაპირი წყაროს შესწავლა. ნაშრომში განვიხილეთ შუშანიკის, ევსტათი მცხეთელისა და აბოს მარტვილობები, რის საფუძველზეც გამოიკვეთა იმ პერიოდის საპატიმრო დანესებულების ორგანიზაციის ცალკეული საკითხები, თუ როგორ რეალიზდებოდა პატიმრობა სასჯელალსრულების დანესებულებაში და რა მიზანს ემსახურებოდა პატიმრობის დამატებითი შეზღუდვა, ქედზე ჯაჭვის დადება და ქედის ჯაჭვით დაბეჭდვა. ასევე, ხაზგასასმელია, რომ პატიმრობა გამოიყენებოდა როგორც სასჯელი და როგორც აღკვეთის ღონისძიება, რათა ეფექტურად განხორციელებულიყო მართლმსაჯულება. განხილულ მასალებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პატიმრობა გარკვეული პირობით იყო დეტერმინირებული და, თუ ეს პირობა შესრულდებოდა, პატიმრობა, როგორც სასჯე-

ლი, აღარ იმოქმედებდა.

აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, იხილავდა რა ევსტათი მცხეთელის ნაშრომს, შემდეგი პოსტულატი წამოაყენა — პატიმრობასთან ერთად წვერისა და თავის გაპარსვა იყო ჰიგიენის დაცვის აქტი თუ გამანობილებელი სასჯელი? ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ჰიგიენის დაცვაზე საუბარი ზედმეტია, რადგან ასეთი მაღალი სტანდარტის დანესება ფოდალური პერიოდის სამართლისათვის გაუმართლებელი იქნებოდა; ეს შემთხვევა, ნაშრომში განხილული არგუმენტების საფუძველზე წარმოადგენდა გამანობილებელ სასჯელს, რომლის მიზანიც იყო საზოგადოდ დამანაშავის ღირსების შელახვა.

წარმოდგენილი მოხსენებით შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინეთ პატიმრობის სამართლებრივი ბუნების ძირითადი ასპექტები ადრეფოდალური პერიოდის საქართველოში.

საერთაშორისო ორგანიზაციული დანაშაული და თანამედროვე გამოწვევები

ბიორბი ბრეზვამაძე, იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი

ჩემი თემა შეეხებოდა საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულს (ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მირიან შალიკაშვილი). ძირითადი აქცენტები გავაკეთე ტრანსნაციონალური დანაშაულის ბუნებაზე, ასევე განვიხილე ორგანიზაციული დანაშაულების ბუნება და მიმდინარე სირთულეები, რაც დაკავშირებულია საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულთან არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ ჩრდილშიც. ნაშრომში ასევე გავლენილია პარალელური ტერორიზმთან — თუ როგორ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული და რაშია ძირითადი პრობლემა. დასკვნაში მოცემულია, თუ რა უნდა გააკეთონ სახელმწიფოებმა, რათა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა უფრო ეფექტური გახდეს.

ღვიძის რეგენერაციის რთული მოზაიკური სურათის გამოტოვებული ფრაგმენტებით შეხსენისათვის

ინეო ინაური მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტი

ჩემი საკვლევი თემა შეეხებოდა ღვიძლის რეგენერაციის უნარს (ხელმძღვანელი: პროფესორი დიმიტრი კორძია). ცნობილია

უძველესი დროიდან, რომ ეს უნარი ღვიძლს გააჩნია. თუმცა დარჩენილია პასუხაუცე-მელი კითხვები. შესწავლილია მოლეკულური ბიოქიმია, შესწავლილია უჯრედის შიდა პროცესები, შესწავლილია გამწვები მექანიზმები, ანუ რაც განაპირობებს ღვიძლის რეგენერაციის დანესებას. მაგრამ არ ვიცით როგორ ხდება ეს. ხდება უჯრედების გამრავლების ხარჯზე, ახალი უჯრედების წარმოქმნის ხარჯზე, თუ ეს ძველი უჯრედების ზომაში გაბერვის, განწევის ხარჯზე. ჩვენი კვლევის თემა არის ექსპერიმენტების წარმოება ვირთავებზე. ვირთავები ავირჩიეთ, რადგან ადვილად მოდელირებადია, მათი მცირე ზომის გამო დღეში შეიძლება რამდენიმე ექსპერიმენტის გატარება. ასევე გვეზარება ერთი ფაქტორი — ვირთავის ღვიძლი ანატომიურად ძალიან ემსგავსება ადამიანის ღვიძლს. ჩვენ ვიკვლევთ სისხლძარღვოვანი სტრუქტურების არქიტექტონიკას, ანუ რა მოხდის ღვიძლის სისხლძარღვებს ამოკვეთის შემდეგ. ბევრი ექსპერიმენტისა და კვლევის შედეგად შევიშუშავეთ მეთოდი და ვიყენებთ მასალას, რომელიც სტომატოლოგიაში ძველი მოდელირებისათვის გამოიყენება. განვსაზღვრეთ მიდი დოზირება, რაც ვირთავების სისხლძარღვებში შეგვყავს. ამ ეტაპზე გამოვლენილი გვაქვს ღვიძლის თითოეული ნილის რელიეფი, დახასიათება. ვფიქრობთ, რომ რეგენერაციის შემდეგ აღნიშნული მეთოდი აქტუალური უნდა იყოს. მეორე ეტაპზე შევისწავლით გადაჭრილ ღვიძლში სისხლძარღვოვან არქიტექტონიკას და შემდეგ აღდგენის შემთხვევაში, თუ რა მოხდის სისხლძარღვებს ადვილად დასანახია. მიდგომა ადვილად და კვლევებს ვაგრძელებთ.

ბიოსამედიცინო კვლევებში ცხოველთა გამოყენების ეთიკური ასპექტები

მკა ბურკაძე, მედიცინის ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი

ჩემი თემა შეეხებოდა ეთიკურ ასპექტებს ბიოსამედიცინო კვლევებში ცხოველთა გამოყენებისას (ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ნინო ჩიხლაძე; ნუნუ მიცკევიჩი). ზოგადად, ბიოსამედიცინო კვლევებში ცხოველთა გამოყენებას 2000 წელზე მეტი ისტორია აქვს. ამ კვლევების შედეგად დღეს ადამიანებს აქვთ უკეთესი ჯანმრთელობა და უკეთესი ხარისხის ცხოვრება. მსოფლიოში არსებობს კვლევების რეგულირების მექანიზმები, მიღებულია კანონები, რომლებიც არეგულირებენ ცხოველთა გამოყენებას, როგორც ბიოსა-

306 ბაიბარჯვა ივანე ჯავახიშვილის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმში

მეათე გვერდიდან

მედიცინო კვლევებში, ასევე, კოსმეტიკის ტესტირებისას ცხოველებზე. საქართველოში, არც ინსტიტუციების და არც სახელმწიფო დონეზე, არ არსებობს არანაირი კანონი და რეგულაცია — არც ეთიკური და არც სამართლებრივი. ჩემი კვლევის საგანს და მიზანს წარმოადგენდა სწორედ ეს საკითხი, რომ საქართველოშიც მივიღოთ მსგავსი რეგულაციები.



საკითხის შესწავლის ხარისხი. ეს სტატია ნიგნის ნაწილია. ნიგნი, თავის მხრივ, მოიცავს რუსეთ-საქართველოს უკანასკნელი ომის შესწავლას. მუშაობას ვაგრძელებ იმ კუთხით, რომ მიზნად ეს სტატია საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში დაიბეჭდოს. ეს კვლევა განსხვავდება იმ სამეცნიერო სტატიებისგან, რომლებიც დასავლეთში ქვეყნდება. აღნიშნულ მასალებში არ არის მოცემული ინფორმაცია საარქივო დოკუმენტების შესახებ, რომლებიც, ძირითადად, ქართულ ენაზეა. იშვიათია, უცხოელი მეცნიერმა იმდენად კარგად ქართული ენა, რომ ამ დოკუმენტების გაცნობა შეძლოს. სწორედ, ამიტომ მაქვს სურვილი, რომ ეს კვლევა საზღვარგარეთაც გავიღებ.

საერთაშორისო კონგრესის მსარეგისტრაციო მუშაობის შედეგად 3D რეკონსტრუქციისა და ენდოგენური ფაქტორების უკუკავშირის გამოყენების უპირატესობა

ალექსანდრა კორაძე, მიხეილ მიქაძე, ტომი ლაბარტაძე, ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები:

— ყველა ქსოვილში არსებობს ენდოგენური ზრდის შემთავიანი ანუ უჯრედის შიდა ფაქტორის ზრდის შემთავიანი ფაქტორი, მათ შორის სათესლე ჯირკვლებშიც. მას გააჩნია თვისება, რომ ერთი ქსოვილიდან გამოყოფილი მხოლოდ იმავე ქსოვილზე მოქმედებს. არსებობს პრეპარატივი მამაკაცებისთვის, რომლებიც ჰორმონული გზით ჩასახვის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. ეს ჰორმონული პრეპარატი არის ცუდი იმ გაგებით, რომ ჭარბი რაოდენობით ჰორმონი ადამიანის ორგანიზმში თითქმის ყველაფერს ანგრევს, თუმცა ეს არის ენდოგენური ფაქტორი და დოზაც არ არის ტოქსიკური, ამიტომ შესაძლებელია მისი ჩანაცვლება. კვლევის მეორე ნაწილს რაც შეეხება — სპერმატოგენეზის რეგულაციის მექანიზმების შესწავლაში 3D რეკონსტრუქციას, დღეისთვის საერთოდ არ არის ცნობილი, თუ როგორ მიმდინარეობს სპერმატოგენეზის უჯრედის ფორმირება და ამ მეთოდით, ეს კვლევის საწყისი ეტაპია, შესაძლებელია დავინახოთ უჯრედი საიდან იწყებს გამოვლინებას და სად ამთავრებს და რა გზას გაივლის სანამ გამოიყოფა. ჩვენი კვლევის ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი დიანა ძიძგური და ასოცირებული პროფესორი პავლე მჭედლიძე.



გაზრდების დაახლოებას ისახავს მიზნად. ასევე, ახორციელებს ტრენინგებს ორივე თემის ახალგაზრდებთან. ვფიქრობ, ეს ეფექტური გზაა, თუმცა არ უნდა ხორციელდებოდეს ასე ლოკალურად და უფრო ფართო მასშტაბიანი იყოს. უნდა დაიწყოს სერიოზული, დაგეგმილი კამპანიის განხორციელება, რაც ამ პრობლემების აღმოფხვრას ხელს შეუწყობს.

და განსხვავებულობის განცდას დაუდოს საფუძველი. უარყოფისადმი მგრძობილობის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც ჩვენს თავში გამოიხატება დაკავშირებულია მარტოობასთან. ეს არის მნიშვნელოვანი ინფორმაცია განსაკუთრებით ამ ეპოქაში, რადგან ნაკლები სოციალური ურთიერთობებისკენ უფრო მეტად ვართ მიდრეკილები. ახლა, როდესაც გვაქვს ინფორმაცია, რომ უარყოფის მოლოდინის განცდა ადამიანს მარტოობისკენ უბიძგებს, შეგვიძლია ამ მექანიზმში ჩარევით დავარეგულიროთ სოციალური ურთიერთობები, დავეხმაროთ ადამიანებს.

ტერორიზმსა და მედიას შორის არსებული კავშირები „ისლამური სახელმწიფოს“ მაგალითზე

ძრისტინა ჯინჰველიძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი:
— თემა, რომელზეც ჩემთან ერთად იმუშავა ასევე ბაკალავრიატის სტუდენტმა ანი კენჭაშვილმა, შეეხებოდა ტერორიზმსა და მედიას შორის არსებულ კავშირებს „ისლამური სახელმწიფოს“ მაგალითზე (ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი გიორგი კვინიკაძე). ნაშრომში მიმოხილული გვექნება ორი მთავარი საკითხი: არის თუ არა მასმედია ტერორისტული ორგანიზაციების მნიშვნელოვანი იარაღი და მათი საქმიანობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ფაქტორი და მეორე — რა მახასიათებლები აქვს ტერორიზმსა და მედიას შორის კავშირებს. ჩვენ შევეცადეთ ამ კითხვებზე პასუხების მიღებას ტელევიზიების მაგალითებზე. მეორე საკითხი, რაზეც ვიმუშავებთ, არის ის, რომ ტერორიზმსა და მედიას შორის ურთიერთობა ორმხრივი სარგებლით ხასიათდება, რადგანაც ტერორიზმის გაშუქება უზრუნველყოფს ფართო აუდიტორიას მედიისთვის.

ახადინიარებს თუ არა „ქამინა აუთი“?

თეკლა ნემანიშვილი, ლია ჯანაშია, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტები:
— ჩვენი თემის ხელმძღვანელი გახლდათ თსუ-ის გენდერის კვლევის ინსტიტუტის პროფესორი ნარგიზა არჯევანიძე. ჩვენ გამოვიკვლიეთ კავშირი ლგბ იდენტობის განზომილებას, გამყვანებასა და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას შორის. ვცდილობთ, დავადგინოთ რა კავშირია ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი ადამიანების სექსუალურ იდენტობას, ამ იდენტობის გამყვანებასა და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას შორის.

უარყოფის გამოხატვის გრამატიკული მოდელი მებრუნალი

გიორგი ჯღარკაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი:
— ჩემი კვლევის ხელმძღვანელი გახლდათ ასოცირებული პროფესორი მაია ლომია. მოხსენებაში განხილულია უარყოფითი ნაცვალსახელები მეგრულში და აგრეთვე განუსაზღვრელობითი ფორმის ნაცვალსახელებიც, რომელიც გამოიყენება უარყოფითი სემანტიკის გადმოსაცემად. ნაშრომზე მუშაობას რაც შეეხება, იდეა ნამოვიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ საფაკულტეტო შიდა გრანტის ფარგლებში დავამუშავეთ საკითხი უარყოფასთან დაკავშირებით, მომზადდა სტატია, მოგვიანებით კი გამოიკვეთა ჩემი საქმე, კერძოდ უარყოფის გრამატიკული მოდელი მეგრულში. კვლევის შედეგები ფორუმზე წარმოვადგინე.

ღმერთის გააზრების კონსტრუქციული გზა პლატონთან და პლატონის შემდეგ

ანა ძირია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი:



— ჩემი თემის ხელმძღვანელი პროფესორი ლელა ალექსიძე. ამ მოხსენებაში ვცდილობ, განვიხილო პლატონიდან მომდინარე არსებული ერთი, აბსოლუტური ერთისა და სიკეთის კონცეფციები, შემდგომ — მათი გააზრების ძლიან რთული გზა ნეოპლატონურ ტრადიციამ და რამდენიმე მოაზროვნეს, კერძოდ: პლატონის, პლოტინისა და პორფირიუსის მაგალითზე. ვცდილობ, აღვიქვა ღმერთის გააზრების ერთიანი ჰენოლოგიური გზა.

მომზადეს მაია ტორაძე, ნატო ოზოლაძე

ეთნიკური ქისტების ინტეგრაციის საკითხი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში

სალომე დავითაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი:
— ჩემი კვლევა ეხება ეთნიკური ქისტების ინტეგრაციის საკითხს თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში (ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნათელა დონაძე). მიმართა, რომ ეს თემა არის ძალიან აქტუალური, რადგან თემის წევრებს აქვთ ინდიფერენტული დამოკიდებულება ქართული სახელმწიფოს მიმართ, გახშირებულია კონფლიქტები ქართველ და ქისტ ახალგაზრდებს შორის. ვფიქრობ, სახელმწიფო არ ახორციელებს გარკვეულ მოქმედებებს, რათა ეს თემა უფრო მეტად იყოს ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში. შედეგად ჩნდება გარკვეული სოციალური დისტანცია ქართველებსა და ქისტებს შორის, რაც, საბოლოოდ, შესაძლოა, პოზიტიურად არ დამთავრდეს. ბოლო პერიოდში ერთ-ერთმა ქალბატონმა არასამთავრობო სექტორიდან არაერთი პროექტი განახორციელა, რომლებიც ქართველი და ქიტი ახალ-

უარყოფის მოლოდინის განცდა და გარტოობა

ნათია სორდია, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი:
— ჩემი კვლევის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მაია მესტირიშვილი გახლდათ. კვლევა, ძირითადად, ეხება იმ ფაქტორებს, რამაც შეიძლება ადამიანებს მარტოობისკენ უბიძგოს და გარიყულობისა

რუსეთის მიერ აფხაზეთის განხორციელებული საპასპორტო პოლიტიკის ზოგადი ასპექტი

კახაბერ ხალიჩაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის სტუდენტი:
— ჩემი მოხსენების ხელმძღვანელი პროფესორი თეიმურაზ პაპასქირია. კვლევა აჩვენებს, რომ საპასპორტო პოლიტიკა, რომელიც კრემლმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში განახორციელა საერთაშორისო, საქართველოს და თავად რუსეთის კანონმდებლობის დარღვევით მოხდა. გარდა ამისა, ნაშრომის მიზანია დაადგინოს დასავლურენოვან ლიტერატურაში ამ



ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა

„ვისაც ჰსურს მომხდარი ამბების მნიშვნელობა და ქართველთა ცხოვრების განვითარების მომდინარეობა ნათლად წარმოიდგინოს, მას ჯერ საქართველოს იმდროინდელი გეოგრაფია შესწავლილი უნდა ჰქონდეს“, — წერდა ივანე ჯავახიშვილი, რომლის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია. 22 აპრილს თსუ-ში ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო დღეების ფარგლებში გამოფენა — „ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა“ გაიხსნა. პირველი უნივერსიტეტის დამაარსებლის იუბილეს მიეძღვნა აგრეთვე კრებული — „ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა“, რომლის პრეზენტაციაც გამოფენაზე შედგა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე, პროფესორები და სტუდენტები დაესწრნენ.



(1919 წ.); საქართველოს რუკა №1 (1919 წ. ფრანგულ ენაზე) და საქართველოს რუკა №2 (1919 წ. ფრანგულ ენაზე). მკვლევრების აზრით, ამ ჩამონათვლიდან ჩანს, რომ ივანე ჯავახიშვილს რუკებზე 1913-1930 წლებში უმუშავია, თუმცა საქართველოს გეოგრაფიით იგი უფრო ადრე დაინტერესებულა და მას ეს გატაცება სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია. ივანე ჯავახიშვილს გეოგრაფიის საფუძვლიანი ცოდნა სჭირდებოდა, ერთი მხრივ, საქართველოს ისტორიის მოვლენების უკეთ გასაგებად და, მეორე მხრივ, ზოგადად, ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს წარმოშობა-განვითარების პროცესების ასახვად. აღსანიშნავია, რომ საგამოფენო მასალები მთლიანად მოძიებული და დამუშავებულია ივანე ჯავახიშვილის ცენტრის მიერ, მომავალში კი სწორედ ამ მასალების მიხედვით იგეგმება შესაბამისი ატლასის გამოცემა.

შურთსია ბაროშვილი


თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დარეჯან თვალთვაძის განცხადებით, უნივერსიტეტში საკმაოდ ფართოდ და საინტერესო ღონისძიებებით აღინიშნება ივანე ჯავახიშვილის იუბილე, რომელიც მთელი წლის მანძილზე გაგრძელდება. „გამოფენაზე წარმოდგენილი მასალები ძალიან საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მრავალი ექსპონატი, რომელიც იმ დღეს პირველად გამოიფინა, აქამდე ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო, ვინაიდან ისინი მხოლოდ არქივებში ინახებოდა“, — განაცხადა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ. „ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო თარიღისთვის სპეციალურად მოვამზადეთ გამოფენა — „ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა“. ეს თემა ნაკლებად ცნობილია არა მხოლოდ ფართო საზოგადოებისთვის, არამედ სამეცნიერო წრეებისთვისაც, ამიტომ ჩვენ შევეცადეთ მოგვეპოვებინა ყველა მასალა — ძირითადად რუკები, საარქივო დოკუმენტები, ფოტოები — და შეგვექმნა ახალი ლიტერატურა,

რამაც გამოვინეტ მემორიალური ნივთები და საზოგადოებას წარუდგინეთ დიდი მამულიშვილის კიდევ ერთი ახალი სამეცნიერო მიმართულება, რომელსაც იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იკვლევდა“, — განაცხადა თსუ-ის მუზეუმის დირექტორის მოადგილემ დავით სართანამ. ღონისძიებაზე აღინიშნა, რომ გამოფენა მომზადებულია თსუ-ის მუზეუმის მიერ, ხოლო წარმოდგენილი მასალები მთლიანად მოძიებული და დამუშავებულია ივანე ჯავახიშვილის ცენტრის მიერ, რომელიც ამ მასალების საფუძველზე ატლასის გამოცემასაც გეგმავს. გამოფენილი კარტოგრაფიული ნაწარმოებებიდან 7 რუკა შექმნილია ან ივანე ჯავახიშვილის მიერ, ან მისი უშუალო მონაწილეობით. ეს რუკებია: საქართველოს რესპუბლიკის რუკა (1922 წ.); საქართველოს ბოტანიკურ-აგრონომიული არეების რუკა ძველი წყაროების მიხედვით (1930 წ.); საქართველოს საისტორიო რუკა VII-XII სს. — შედგენილი ძველი წყაროების მიხედვით (1913 წ.); საქართველოს ისტორიული რუკა (1923 წ.); საქართველოს საზღვრების რუკა



ივანე ჯავახიშვილის შრომების გამოფენა

უნივერსიტეტის დამაარსებლის, საქართველოსა და კავკასიის ისტორიის თანამედროვე სამეცნიერო სკოლის ფუძემდებლის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ივანე ჯავახიშვილის შრომების გამოფენა გაიმართა 22 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. გამოფენა ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140-ე წლის იუბილეს მიეძღვნა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, საბიბლიოთეკო წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. „ივანე ჯავახიშვილის 140-ე წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით თსუ ღონისძიებათა მთელ ციკლს გეგმავს და ერთ-ერთი ასეთია ივანე ჯავახიშვილის შრომების გამოფენა. ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შენობაში გაიხსნა ახალი საგამოფენო სივრცე, სადაც პირველ ექსპოზიციას სწორედ ივანე ჯავახიშვილის შრომები წარმოადგენს“, — განაცხადა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ.



წლად არის გამოცხადებული და მისი სახელის უკვდავსამყოფად არაერთი ღონისძიება გაიმართა. ერთ-ერთი მათგანია დღევანდელი გამოფენაც, სადაც თავმოყრილია ყველა ის ნაშრომი, რაც კი დღემდე ივანე ჯავახიშვილის ავტორობით ან რედაქტორობით გამოცემულა. ეს არის პირველი მცდელობა იმისა, რომ ერთად მოვეყაროთ თავი ამ დიდი მეცნიერის უხე სამეცნიერო შემოქმედებას. აქ გამოფენილი შრომები საინტერესო საჩუქარი იქნება მათთვის, ვინც დაინტერესებულია ქართული მეცნიერების განვითარებისა და ისტორიის საკითხების შესწავლით“, — აღნიშნა ზურაბ გაიპარაშვილმა. ამ გამოფენით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაიხსნა სივრცე, სადაც პერიოდულად გამოიფინება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნსაცავებში დაცული იშვიათი გამოცემები და მოეწყობა მათი თემატური გამოფენები.

თამარ ღალიანი

ღონისძიებაზე ივანე ჯავახიშვილის შრომების კატალოგის და ენციკლოპედიური ლექსიკონის წარდგინება გაიმართა. განახლებული ფორმით გამოვიდა 10 წლის წინ გამოცემული ლექსიკონი, ასევე, ერთი რუსულენოვანი ნაშრომი, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში ჰქონდა შექმნილი ივანე ჯავახიშვილს. „დიდი ივანეს ნაშრომების და ნივთების ექსპოზიციას ყველა მნახველს დაინტერესებს. ჩემს უნივერსიტეტს და მის ბიბლიოთეკას ვუსურვებ ახალ გამარჯვებებს“, — ასეთი ჩანაწერი გააკეთა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ ბიბლიოთეკის შთაბეჭდილების წიგნში. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ივანე ჯავახიშვილის ავტორობით გამოცემული ყველა წიგნი და მრავალტომეული გამოცემა, ასევე ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები და პუბლიკაციები. ყველაზე ძველი გამოცემა 1899 წლით თარიღდება და

წარმოადგენს ტექსტის „სიბრძნე ბალავარისა“ რუსულ თარგმანს. 1900 წლის ჟურნალ „მომავალში“ დაბეჭდილი ნაშრომისათვის კი „ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“ პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ივანე ჯავახიშვილი ოქროს მედლით დააჯილდოვა, რაც მისი პირველი აღიარება იყო. გამოფენის ერთერთ მნიშვნელოვან ექსპონატს ივანე ჯავახიშვილის ხელჩანთა წარმოადგენს, რომელიც მისმა შთამომავლებმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადასცეს. აღსანიშნავია, რომ ექსპოზიციას 1899-2012 წლებში გამოქვეყნებული ივანე ჯავახიშვილის შრომების სრული სახით წარმოდგენის პირველი მცდელობაა. თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის თქმით: „ეს წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისთვის. მისი დამფუძნებელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი 140 წლის გახდებოდა. ამასთან დაკავშირებით წლევანდელი წელი ივანე ჯავახიშვილის



ივანე ჯავახიშვილის 140 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია

22 აპრილს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია „ქართველოლოგია: წარსული, აწმყო და მომავალი“ გაიმართა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის 140 წლისთავს მიეძღვნა.

ლონისძიებს თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე, პროფესორები, სტუდენტები დაესწრნენ. სამეცნიერო კონფერენციაზე შედგა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების მე-10 ტომისა და ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომების მე-3 ტომის პრეზენტაცია.

„ივანე ჯავახიშვილის იუბილე ყველა უნივერსიტეტისთვის, მთელი საქართველოსთვის მისალოცო თარიღია. ასეთი ადამიანები განსაკუთრებული მისიითა და ღვაწლით ხშირად არ იბადებიან. ივანე ჯავახიშვილის საქმიანობის გვირგვინი საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის დაარსება იყო. სამეცნიერო კონფერენცია საიუბილეო ღონისძიებების ერთ-ერთი რგოლია და, მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციაზე ძალიან საინტერესო ნაშრომების პრეზენტაცია გაიმართა“, — განაცხადა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ.

საიუბილეო სხდომა თსუ-ის პროფესორების მარიამ ლორთქიფანიძისა და გიორგი ოთხმეზურის მოხსენებით — „ივანე ჯავახიშვილი — ცხოვრება და მოღვაწეობა“ — გაიხსნა. ნაშრომში ვრცლად არის განხილული ივანე ჯავახიშვილის ბიოგრაფიის ძირითადი მომენტები, ჯავახიშვილის გვარის ისტორია, გიმნაზიის წლები, პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისა და მოღვაწეობის პერიოდი, უნივერსიტეტის დაარსების ისტორია და, ბოლოს, წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილი — როგორც ქართული მეცნიერების პატრიარქი, რომელმაც საფუძვლი ჩაუყარა ახალ სამეცნიერო დარგებს საქართველოში. როგორც პროფესორმა აღნიშნა, უნივერსიტეტის შექმნა გვირგვინი იყო ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობაში, რომელსაც წინ მისი მრავალმხრივი საზოგადოებრივი და სამეცნიერო მუშაობა უძღოდა წინ.

„ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიას“ წინ ეპიგრამად შეიძლება წაემძღვაროს მისივე სიტყვები: „ქართველების ნაჭარისა და მისწრაფების ერთადერთ საგნად პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო. ეს არის ისტორია ქართული სახელმწიფოს შექმნისა, ქართველი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობის ბრძოლისა... ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება არა მარტო საქართველოს ისტორიული წარსულის წარმოჩენას, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვასაც ემსახურება“, — განაცხადა გიორგი ოთხმეზურმა.



ფოტორიგი ინტერესების დაცვასაც ემსახურებოდა“, — განაცხადა გიორგი ოთხმეზურმა.

„ეროვნული უმაღლესი განათლების ქართული საზოგადოების მზადყოფნას მონიშნავს ის გარემოება, რომ ივანე ჯავახიშვილის ზემოთ დასახელებული კაპიტალური გამოკვლევები საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხზე საქართველოში იბეჭდებოდა და ამ ნაშრომებს აქ თავისი მკითხველი საზოგადოება ჰყავდა; აგრეთვე, ის საჯარო ლექციები, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი მართავდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და რომელიც საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა. ახალგაზრდა ქართული მეცნიერების ეროვნული დარგების განვითარებასა და მის მიმართ საზოგადოების ინტერესის გაცხოველებებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით დაარსებულმა „საქართველოს ისტორიის და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“ — პირველმა აკადემიურმა დანესებულებამ საქართველოში. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის პირობებში ქართული უნივერსიტეტის გახსნის ყოველი ცდა მარცხით დამთავრდა.

1917 წლის თებერვალ-მარტში განხორციელებული რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შედეგად ცარიზმი დაემხო. ბევრი ითქვა და დაინერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით ნაშრომით პრობლემებზე — რამდენი და რა რთული წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა ქართველ მოღვაწეთა ერთ მცირე ჯგუფს დასახული მიზნის მისაღწევად“, — ნათქვამია მარიამ ლორთქიფანიძისა და გიორგი ოთხმეზურის ნაშრომში.

როგორც გიორგი ოთხმეზურმა აღნიშნა, დავით აღმაშენებლის ხსენების დღე, 26 იანვარი უნივერსიტეტის გახსნისას შემთხვევით არ შეურჩევია ივანე ჯავახიშვილს. „ამით მან ხაზი გაუსვა უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობას. როგორც დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა იყო საეტაპო მნიშვნელობისა საქართველოს ისტორიაში, ასევე უნივერსიტეტის დაარსებით ახალი ეტაპი

უნდა დანყებულიყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ეტაპი სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო რენესანსისა. სწორედ უნივერსიტეტს უნდა აღეზარდა მეცნიერულ ცოდნაზე დამყარებული, მაღალი ეროვნული თვითშეგნებითა და სახელმწიფოებრივი აზროვნებით განმსჭვალული მომავალი თაობა. ივანე ჯავახიშვილის საუნივერსიტეტო მოღვაწეობის შედეგად ჩაეყარა საფუძველი და მას შემდეგ თითქმის მთელი საუკუნეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში (და არა მხოლოდ საქართველოში) მიმდინარე ყველა სამეცნიერო, საზოგადოებრივი და ეროვნული ნაშრომების ფლაგმანი“.

გიორგი ოთხმეზურმა ვრცლად ისაუბრა ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობაზე და საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა დიდი მეცნიერის სიტყვები: „ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები დღესაც, მათი გამოქვეყნებიდან 100 წლის შემდეგ, სამაგიდო ნივთები ქართველოლოგიური დარგების მკვლევართათვის. დღესაც ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები დებულეებითა და დასახული კვებებითა ხდება ამ დარგების განვითარება. ივანე ჯავახიშვილის შეფასებას, ალბათ, ყველაზე უკეთ ესადაგება მის მიერ შოთა რუსთაველის მიმართ წარმოქმნილი სიტყვები: „კულტურის მოღვაწეთა და საზოგადოებას შორის ურთიერთდადებულება მყარდება. მოღვაწე ქმნის და ამით თავისი მშობელი ერისადმი ვალდებულებას იხდის; მაგრამ თუ მის შემოქმედებას იმდენად დიდი ღირებულება აქვს, რომ თანამედროვეთათვის კი არა, არამედ შემდეგდროინდელ და მომდევნო საუკუნეთა თაობათათვისაც ძვირფასი განმად რჩება, მაშინ მათაც, თავის მხრივ, ამ მოღვაწის სხოვნისადმი წვდომი უნდა იქნება, რომ მისი ქმნილება, მისგან დატოვებული განძი, ისევე შეურყევლად დაცივან, როგორც თავის დროზე ავტორს ჰქონდა შექმნილი“.

საინტერესო იყო თსუ-ის პროფესორ ნიკო ჯავახიშვილის მოხსენება — „ივანე ჯავახიშვილის წინაპრები მამის მხრიდან“, რომლის დროსაც მეცნიერმა ჯავახიშვილთა საგვარეულო გერბებზე და ივანე ჯავახიშ-

ვილის მამის მხრიდან წინაპრებზე ისაუბრა: „შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში ჯავახიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები ხშირად იხსენიებიან. მათ საპატიო ადგილი ეკავათ ძირძველ ქართულ ფეოდალურ საგვარეულოებს შორის. ამ გვარის წარმომადგენლები წარმატებით მოღვაწეობდნენ სახელმწიფო და სამხედრო სარბიელზე და ბაგრატიონებთან ხელმწიფეთა სამეფო კარზე სხვადასხვა დროს ეპყრათ: მეჭურჭლეთუხუცესის, მეაბჯრეთუხუცესის, მდივანბეგის, ბაზიერეთუხუცესის, მეაბჯრეთუხუცესის და სხვა საპატიო თანამდებობები. სათანადო საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით დადგენილია, რომ ივანე ჯავახიშვილს ჰყავდა სახელოვანი წინაპრები და ნათესავები, რომლებიც საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.“

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი იყო თავისი დიდებული წინაპრების ღირსეული შთამომავალი და დამფასებელი, რაც მან თავისი განვლილი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაამტკიცა“, — ნათქვამია მოხსენებაში.

საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციაზე თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების მე-10 ტომისა და ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომების მე-3 ტომის პრეზენტაცია გაიმართა, რომლის მნიშვნელობაზე და შინაარსზე საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, თსუ-ის პროფესორმა თედო ღუნდუამ ისაუბრა: „საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი ერთ-ერთი ძველი და, გარკვეულწილად, საქართველოს ისტორიის იმ დიდი კათედრის სამართალმემკვიდრეა, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა დააარსა. ამიტომ ჩვენი მოღვაწეობა ამ სფეროში ერთგვარი გამოწვევაა არის. დღეს თქვენ წინაშე კიდევ ორი ახალი შრომების კრებულია, რომელშიც თავმოყრილია ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორების და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები. ამ კრებულებში მრავალი სეგმენტია გაშუქებული — დანყებული ანტიკური პერიოდიდან — დღემდე. მისასალმებელია, რომ ჩვენს ინსტიტუტთან აქტიურად თანამშრომლობენ სოხუმის, თელავის, გორის უნივერსიტეტების და ხელნაერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი კვლევებში, საერთაშორისო პრეზენტაციებში. აღსანიშნავია, ასევე, იმ ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომები, რომლებიც აქტიურად არიან სამეცნიერო მუშაობაში ჩართულნი. ეს იმედს გვაძლევს, რომ ივანე ჯავახიშვილის დანყებული საქმე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით გრძელდება“, — განაცხადა თედო ღუნდუამ.

შურსია გაროშვილი

„თსუ სამართლის მიმოხილვა“ — ახალი სტუდენტური ჟურნალი იურიდიულ ფაკულტეტზე

იურიდიულ ფაკულტეტზე ახალი სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი — „თსუ სამართლის მიმოხილვა“ დაფუძნდა. ჟურნალის მომზადებაში აქტიურ მონაწილეობას სტუდენტები მიიღებენ, მათ შორის იურიდიული ფაკულტეტის თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის კერძო სამართლის კვლევის სტუდენტური ჯგუფი და თინათინ წერეთლის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო წრე. პროექტის მხარდამჭერი იურიდიული ფირმა „მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგური“ (MKD). სტუდენტური ჟურნალის „თსუ სამართლის მიმოხილვა“ პრეზენტაცია 18 აპრილს გაიმართა და ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილეს მიეძღვნა. ახალი პერიოდული გამოცემის რედაქტორია იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი გიორგი ამირანაშვილი, რომელიც, ამავდროულად, ჟურნალის დაფუძნების იდეის ავტორიც გახლავთ. სტუდენტური ჟურნალი „თსუ სამართლის მიმოხილვა“ ჰარვარდის სამართლის სკოლის ჟურნალის „ჰარვარდის სამართლის მიმოხილვის“ მსგავსი გამოცემა იქნება როგორც ნაშრომების, ასევე, კონცეფციის თვალსაზრისით. სარედაქციო სამუშაოში, ძირითადად, სტუდენტები იქნებიან ჩართულები. გამოცემას ეყოლება სამეცნიერო საჭოც, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებით და პარტნიორი კვლევითი იურისტებით დაკომპლექტდება.

„ჟურნალი სტუდენტებისთვის ორი თვალსაზრისით იქნება მნიშვნელოვანი — ერთი მხრივ, აკადემიური კუთხით განვითარდებიან, მეორე მხრივ, სტუდენტები სარედაქციო საქმიანობაში ჩართვისას საგამომცემლო უნარ-ჩვევებსაც დაეუფლებიან. გამოცემაში დაგეგმილია სამართლის სხვადასხვა

სფეროს წარმოდგენა. ტრადიციული რუბრიკების გარდა, იქნება ამერიკული ჟურნალიდან და „ჰარვარდის სამართლის მიმოხილვიდან“ გადმოტანილი ქართული სამართლებრივი სისტემისთვის თავსებადი რამდენიმე რუბრიკაც. „თსუ სამართლის მიმოხილვისთვის“ უცხო არ იქნება სპეციალური ნორმე-



ბის გამოცემა. ჩვენი საერთო გადანყებულებით, პირველი ნომერი სწორედ ასეთია. მასში ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ კერძო სამართლის სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი კვლევები დაიბეჭდება.

მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტიც. ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი რამდენიმე უცხოელმა კოლეგამ უკვე გამოთქვა. ვგეგმავთ მათთან აქტიურ კონსულტაციებს, ისინი მოამზადებენ ჩვენი სტუდენტების მიერ გამოქვეყნებული სტატიების რეცენზიებსაც. ვიმედოვნებ,

რომ ეს პროექტი სათანადოდ რეალიზდება“, — განაცხადა გიორგი ამირანაშვილმა.

„პრეზენტაცია — ხმამალა ნათქვამი სიტყვაა, საქმე გამოგაჩენს, თუ რამდენად კარგად შევასრულეთ ამ სიტყვის მნიშვნელობას. მინდა, მაღლობა გადავუხადო იურიდიული ფირმის — „მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგური“ — წარმომადგენლებს. ასეთი ადამიანების გარეშე მეცნიერება ვერ განვი-

80-14 გვირგვინი



„ტსუ სამართლის მიმოხილვა“ — ახალი სტუდენტური ჟურნალი იურიდიულ ფაკულტეტზე

მეტამეტე გვერდიდან

თარდება. დიდი მოვლენაა ჟურნალის დაფუძნება. იურიდიულ ფაკულტეტზე ეს არ არის პირველი ჟურნალი, მაგრამ მგონია, რომ ის განსაკუთრებით გამორჩეული იქნება და ეს დღევანდელი პრეზენტაციიდანაც კარგად ჩანს. მთავარია, რომ სტუდენტისა და პროფესორის ურთიერთობაში მეორე დიდი ნაბიჯი გადაიდგა. საუნივერსიტეტო რეფორმით მთავარი იყო, რომ სტუდენტი გამხდარიყო პროფესორის აქტიური თანაშემწე და ვფიქრობ, დღევანდელი ვითარების მთავარი თავისებურებაც ეს არის — სტუდენტები აკადემიური პროცესების აქტიური თანამონაწილეები არიან“, — განაცხადა იურიდიული ფაკულტეტის თანამედროვე კერძო სა-



მართლის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ბესარიონ ზოიძემ. სტუდენტურ სამეცნიერო ჟურნალს „ტსუ სამართლის მიმოხილვა“ იურიდიული ფირმა „მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგურის“ გაუწევს სპონსორობას, გამოცემას კი გამომცემლობა „მერიდი-

ანი“ უზრუნველყოფს. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან უკვე ხანგრძლივი თანამშრომლობის ისტორია გვაკავშირებს. გილოცავთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს. ჩვენ იურიდიულ ფაკულტეტთან თანამშ-

რომლობის ექსკლუზიურ უფლებას არ ვფლობთ და, მინდა, მივანოდო გზავნილი სხვა იურიდიულ კომპანიებს, რომ საქართველოს მთავარი სამართლის სკოლის განვითარებაში ჩვენი წვლილი ყველამ უნდა შევიტანოთ“, — განაცხადა იურიდიული ფირმა „მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგურის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ვიქტორ ყიფიანმა. ტსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე უკვე რამდენიმე წელია მოქმედებს იურიდიული ფირმის „მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგურის“ სტიპენდია, რომელიც საუკეთესო აკადემიური მოსწრების სტუდენტებს გადაეცემათ. იურიდიული ფირმა სტუდენტებს სტაჟირებასაც სთავაზობს.

ნატო ოპოლაკა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის მორიგი მფლობელი

6 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების მაუნთ ჰოლიოკ კოლეჯის პროფესორ სტივენ ჯონსს ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია გადაეცა. ღონისძიებას ტსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე, პროფესორები და სტუდენტები დაესწრნენ. როგორც საზეიმო ღონისძიებაზე აღინიშნა, 2016 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია, საუნივერსიტეტო კომისიის გადაწყვეტილებით, პროფესორ სტივენ ჯონსს ქართველოლოგიაში განსაკუთრებული ღვაწლისთვის მიენიჭა. პოლიტოლოგიისა და სოციოლოგიის საპატიო დოქტორი, პროფესორი, ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი და ექსპერტი პოსტკომუნისტური საზოგადოებისა და აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში სტივენ ჯონსი ამავე დროს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, რედაქციის მრჩეველი და სარედაქციო კოლეგიის წევრია. იგი ავტორია საქართველოს შესახებ დაწერილი უმნიშვნელოვანესი ნაშრომისა: „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, რომელშიც საფუძვლიანად და სიღრმისეულად არის შეფასებული ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები.



„სტივენ ჯონსი უკვე ათეული წლებია წარმატებით მოღვაწეობს ქართველოლოგიაში და მისი მხარდაჭერით არაერთი პროექტი განხორციელდა. მადლობა მას იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ჩვენი ქართველი სტუდენტები და მეცნიერები გრძნობენ. ეს ჯილდო სამი წლის წინ, მაშინდელი რექტორის, ვლადიმერ პაპავას ინიციატივით დაწესდა სპეციალურად საზღვარგარეთ მოღვაწე უცხოელი ქართველოლოგებისთვის, რომელიც მათ განსაკუთრებული დამსახურებისთვის გადაეცემათ. დღეს წილად მხვდა პატივი, რომ კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, სტივენ ჯონსს დიპლომი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადაეცემა, რომელიც ყოველთვის შეახსენებს მას, რომ მისი საქართველოსთან მეგობრობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკავშირდება“, — განაცხადა ტსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ. უცხოელ მეცნიერს ჯილდოს მიღება აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამაც მიულოცა: „მნიშვნელოვანი და სიმბოლურია, რომ სტივენ ჯონსისთვის ამ განსაკუთრებული ჯილდოს გადაცემა საქართველოში პირველი უნივერსიტეტის დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილეს დაემთხვა. თუ არა ჩვენი უნივერსიტეტი, ქართველოლოგიაში სხვა ვინ უნდა იყოს მსოფლიო ლიდერი! სწორედ ამ ფაქტორის გამო გაჩნდა იდეა, რომ დაგვეარსებინა საერთაშორისო პრემია ქართველოლოგიაში, რომელიც გადაეცემა უცხოეთში მოღვაწე უცხო ქვეყნის მოქალაქეს მეცნიერების ამ დარგში შეტანილი წვლილისათვის. მე და ბატონი სტივენ ჯონსი მეგობრები ვართ, თუმცა ამ დარბაზში

მას სხვა ბევრი მეგობარიც ჰყავს, რაც, პირველ რიგში, საქართველოსადმი მისმა დიდმა სიყვარულმა განამტკიცა. მნიშვნელოვანია, რომ სტივენ ჯონსი ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია. შემიძლია „ნავიტირაბახო“ — რამდენიმე წლის წინ მე დავასახელე იგი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრად და აკადემიამ სრული მხარდაჭერით იგი აკადემიის უცხოელ წევრად აირჩია. ჩვენი მეგობრობა ცოდნასა და მეცნიერებაზე დამყარებული. ვულოცავ მას ამ მაღალ ჯილდოს და ჩვენს უნივერსიტეტს კი იმას, რომ ასეთი ღირსეული საპატიო დოქტორი ჰყავს“, — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ. „იგი მამით ინგლისელი, დედით შოტლანდიელი, მოქალაქეობით ამერიკელი და გულით ქართველია. ვისაც მისი ნაშრომები ნაუკითხავს, დარწმუნდება, რომ დიდი მონდომებითა და, ამავე დროს, სიყვარულით სწავლობს საქართველოს ისტორიას და არა მხოლოდ გვაქვს, არამედ საკმაოდ კრიტიკულიც არის ზოგიერთი მოვლენის შეფასებისას, რაც ძალიან დასაფასებელია, ამიტომ იგი ღირსეულად იმსახურებს იმ მაღალ ჯილდოს, რომელიც დღეს მას გადაეცა“, — აღნიშნა პროფესორმა რეზო გაჩეჩილაძემ საზეიმო ღონისძიებაზე. სტივენ ჯონსმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. „მიხარია და ვლელავ, რადგან ჩემთვის ეს ძალიან საპატიო ჯილდოა. ვამაყობ იმითაც, რომ ოდესღაც ამ უნივერსიტეტის სტუდენტი მეც ვიყავი. მადლობა მთელ ქართველ ხალხს და განსაკუთრებით უნივერსიტეტს. დიდი ხანია ვმუშაობ



საქართველოს ისტორიის საკითხებზე და რამდენიმე წიგნიც მაქვს გამოცემული. ჩემი ბოლო ნაშრომი საქართველოს თანამედროვე პოლიტიკას ეხება. მადლობა მინდა გადაუხადო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, ვლადიმერ პაპავას და ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, რომლებიც 30 წლის

მანძილზე მეხმარებოდნენ სათანადო მასალების მოძიებაში. ყოველთვის საქართველოს მეგობრად დავრჩები და გავაგრძელებ ჩემს მოღვაწეობას ამ სფეროში“, — ასე გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მადლობა სტივენ ჯონსმა.

შურთხია ბაროშვილი



ასე მოულოდნელად დაშორდა იგი სასწავლო...

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ნიკოლოზ (კოკა) კერვალიშვილი არანეიტრალური პლაზმის ფიზიკის ფუძემდებელი იყო საქართველოში. მრავალმხრივ განათლებული და კვლევა-ძიების დიდი ალღოს მქონე, განსაკუთრებული ანალიტიკურ-სინთეზური ნიჭით დაჯილდოებული მეცნიერი, იმავდროულად, ფაქიზი, მგრძობიარე, გამორჩეული პიროვნული ხიბლის მქონე ადამიანი გახლდათ.

1960 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და სწავლა გააგრძელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში ექსპერიმენტული ფიზიკის განხრით, პლაზმის ფიზიკის სპეციალიზაციით. პლაზმის ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნოდარ ცინცაძემ ნიჭიერი ახალგაზრდა მიაგვლინა კურჩატოვის ატომური ფიზიკის ინსტიტუტში (მოსკოვი), სადაც მან პრაქტიკულად დამოუკიდებლად ჩაატარა ჯვარედინ ელექტრულ და მაგნიტურ ველებში დაბალი წნევის გამაჩქარებელი გამოკვლევა და აღმოაჩინა მაგნიტური და ელექტრული ველების ასიმეტრია, რომელიც ძლიერ გავლენას ახდენდა გამაჩქარების მიმდინარე პროცესებზე, რაც ათწლეულების მანძილზე ამოუხსნელ პრობლემად რჩებოდა. ამ აღმოჩენას მან თავად „ანოდის იუსტიციის ეფექტი“ უწოდა და სწორედ ამ სახელით დამკვიდრდა ეს ეფექტი აირგანმუხტვად პლაზმის ფიზიკაში. 1969 წელს მან ამ თემაზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სადოქტორო დისერტაცია კი დაიცვა 1994 წელს მოსკოვის ზოგადი ფიზიკის ინსტიტუტში თემაზე: „ჯვარედინ ელექტრულ და მაგნიტურ ველებში დამუხტული პლაზ-



მის ფიზიკური თვისებები“. თემა შესრულებული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში (მისი ნაშრომი ერთ-ერთმა ოპონენტმა შეადარა „მარგალიტების ცვენას“ პლაზმის ფიზიკაში).

მისი მეცნიერული ინტერესები ძირითადად უკავშირდებოდა არანეიტრალურ ელექტრონულ პლაზმაში არანრფივი მოვლენებისა და არაერთგვაროვნების გამოკვლევა-შესწავლას მაგნეტრონის, შებრუნებული მაგნეტრონის და პენინგის უჯრედის ტიპის მოწყობილობებში. (არანეიტრალური პლაზმა წარმოადგენს განსაკუთრებულ მედიუმს და განსხვავებულია ნივთიერების ყველა სხვა ცნობილი მდგომარეობისგან, იქნება ეს პლაზმური, აირადი, თხევადი თუ მყარი მდგომარეობა). თავის მოღვაწეობაში მეცნიერმა დიდ წარმატებებს მიაღწია აწყობა რა სამი განსხვავებული გეომეტრიის დანადგარი და შეიმუშავა არა ერთი ახალი ექსპერიმენტული მეთოდი ძლიერ ელექტრულ და მაგნიტურ ველებში აირგანმუხტვად არანეიტრალურ ელექტრონულ პლაზმაში ფიზიკური მოვლენების შესასწავლად.

ბატონი ნიკოლოზ კერვალიშვილის ძირითადი მეცნიერული მიღწევების მოკლე ჩამონათვალიც კი თვალსაჩინოს ხდის — რაოდენ შთამბეჭდავი და

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან პლაზმის ფიზიკის განვითარებაში: 1) ჯვარედინ ელექტრულ და მაგნიტურ ველებში „ანოდის იუსტიციის“ ეფექტის აღმოჩენა; 2) „ანოდის იუსტიციის“ ეფექტის ახსნა; 3) არანეიტრალურ ელექტრონულ პლაზმაში განმხოლოებული გრიგალური სტრუქტურების (როგორც მან უწოდა) აღმოჩენა; 4) ამ სტრუქტურების თეორიული მოდელის აგება; 5) „ანომალური ენერჯის“ ელექტრონების ამოფრქვევის („ელექტრონების ეფექტია“) მექანიზმის ახსნა (რომელიც 50 წელზე მეტი უცნობი იყო); 6) ელექტრონული შრის კოლაფსის აღმოჩენა; 7) ელექტრონული შრის კვაზისტაციონარული მოდელის აგება; 8) მდგრადი ლოკალიზებული გრიგალური სტრუქტურების ფორმირების ახსნა.

ბატონი ნიკოლოზი თავის ბოლო წერილში პროფესორ Jean-Pierre Boeuf-სადმი (Research director at the CNRS) (რომელიც მეტად დაინტერესებული იყო ამ კვლევებით) წერს — ლოკალიზებული გრიგალური სტრუქტურების მდგრადობა მეტყველებს, რომ ისინი ენერგეტიკულად ხელსაყრელი არიან და წარმოადგენენ არანეიტრალური ელექტრონული პლაზმის ერთერთ ფუნდამენტურ თვისებას. ეს მდგრადი განმხოლოებული გრიგალური სტრუქტურები, არიან რა სიმკვრივის განმხოლოებული ტალღები, შეიძლება გამოყენებულ იქნას დიდმასშტაბიანი გეოფიზიკური და ასტროფიზიკური მოვლენების მოდელირებისთვის, მაგალითად, ისეთის როგორცაა იუპიტერის დიდი წითელი ლაქა ან სპირალური გალაქტიკები.

ნ. კერვალიშვილის მეცნიერული კვლევების შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს ნეოკლასიკური, ტურბულენტური და თვითორგანიზებადი პროცესების შესწავლისას. მის მიერ შემუშავებული ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენება შეიძლება ასევე იმ გარემოში, რომელშიც ელექტრონების (იონების) ჭარბი სიმკვრივის

გამო წარმოქმნილ არაერთგვაროვნებას გააჩნია ძლიერი ელექტრული ველი.

ბატონი ნიკოლოზი იყო რამდენიმე ინსტიტუტის სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოების წევრი, საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი, ოპონირებას უწევდა სადოქტორო დისერტაციებს. 1993 წ. მიიღო ამერიკის ფიზიკის საზოგადოების გრანტი - Mayer Foundation Grant Awarded by the American Physical Society. 1997-2003 წლებში მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტები კვლევითი პროექტებისთვის. მონაწილეობას იღებდა რეგიონალურ და საერთაშორისო კონფერენციებში, იყო 80-ზე მეტი ნაშრომის (რეფერირებულ ჟურნალებში) და ორი პატენტის ავტორი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ნიკოლოზ კერვალიშვილს გამძაფრებული ჰქონდა მშობლიური ქვეყნის სიყვარული, განსაკუთრებული პატივისცემის გრძობა წინაპრებისადმი. იყო ერთგული თავისი ოჯახის — მეუღლის, ღირსეული შვილების და შვილიშვილების, იყო ასევე შესანიშნავი მეგობარი. თუკი ვინმეში ადამიანურ ღირსებას დაინახავდა, მიიღებდა და ბოლომდე მიენდობოდა, ყველაფერს უყოყმანოდ და დაუზარებლად გაიღებდა მისთვის. საქართველოს ბედით და უბედობით ცოცხლობდა ბოლომდე. პოლიტიკური განსჯის უნარით დაჯილდოებულს, არასოდეს გასჩენია ეჭვი საქართველოს მომავალში — მხნედ იყო და სხვასაც გადასცემდა თავის იმედიაობას. მეცნიერებაში, და არა მხოლოდ მეცნიერებაში, მრავალი გეგმის განხორციელებას აპირებდა.

ასე მოულოდნელად დაშორდა იგი სასწავლო, როცა ვერც თვითონ და ვერც მის გვერდით მყოფნი წარმოიდგენდნენ, რომ აღსასრული ასე ახლოს იყო.

ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები, მეგობრები, ოჯახის წევრები

რომანულმა ფილოლოგიამ დიდი დანაკლისი განიცადა

ძართულმა ფილოლოგიურმა მეცნიერებამ და განსაკუთრებით რომანულმა ფილოლოგიამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ფრანგული ენის სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი რუსუდან მეგრელიშვილი. იგი დაიბადა 1934 წლის 27 ივნისს მოსკოვში. განათლება მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალობით რომანულ-გერმანული ენები და ლიტერატურა. 1960 წელს გადადის მოსკოვში, სადაც ამთავრებს მოსკოვის უცხო ენების ინსტიტუტს ესპანური (1973) და ინგლისური ენების განხრით (1978). სადისერტაციო შრომას ასრულებს მოსკოვის ექსპერიმენტული ფონეტიკისა და მეტყველების ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში.

დიდია ქალბატონი რუსუდანი მეცნიერული და პედაგოგიური დამსახურება, მან პირველმა გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი — „ფრანგული ენის ფონეტიკა“, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა რომანული



თამარ ნუცუბიძის მიერ გადაღებული ფოტო

ენათმეცნიერების განვითარების საქმეში, ამ წიგნზე აღიზარდა და დღესაც იზრდება ფრანგული ენის, კერძოდ, ფონეტიკის შესწავლით დაინტერესებული სტუდენტები.

აღსანიშნავია მისი პუბლიკაციები ექსპერიმენტულ ფონეტიკაში, ენათა ტიპოლოგიასა და გამოყენებით ლინგვისტიკაში, რომლებიც გამოქვეყნებულია მოსკოვის, ბერლინის, პრატის,

ლონდონის, მინსკის და თბილისის ლინგვისტურ სამეცნიერო კრებულებში.

1962 წლიდან 2006 წლამდე ლექციებს კითხულობდა ფრანგული ფილოლოგიის კათედრაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

განსაკუთრებულია ქალბატონ რუსუდანის ღვაწლი, როგორც პედაგოგისა, ახალგაზრდობის აღზრდისა და პროფესიონალად ჩამოყალიბების საქმეში, ამაში მას ხელს უწყობდა ფართო ეროვნული, უზადო განათლება და დიდი შინაგანი კულტურა, ინტელექტი.

ქალბატონი რუსუდანი ძალიან პოეტური სულის ადამიანი იყო და, თავისი სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად, წერდა ლექსებს. მისი ლექსების პირველი წიგნი «პოეზია» (1979-2002) გამოიცა თბილისში 2002 წელს. 2006 წელს დაიბეჭდა „განცდის აჩრდილები“. ამას მოჰყვა მესამე კრებული „მე ვხედავ ხმას“ 2012 წელს. მომდევნო წლებში აქვეყნებს კრებუ-

ლებს „აი ია“ (2013), „ისევ ამოვალ ალბათ“ (2014) და „ანბანით ხელში სად გარბის ია“ (2015). ამ კრებულებში სრულადაა წარმოდგენილი რუსუდანი მეგრელიშვილის პოეზია.

ფრანგული, ინგლისური, რუსული და სხვა ენების სრულყოფილი ცოდნა და მათი გაზიარება ახალგაზრდა მკვლევართა მომზადების საქმეში განუსაზღვრელი იყო. ბევრია იმ საკურსო და სადიპლომო ნაშრომების რიცხვი, რომლის კონსულტანტი და ხელმძღვანელი ქალბატონი რუსუდანი გახლდათ.

ქალბატონი რუსუდანი განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით იყო დაჯილდოებული. მისი მეგობრები, მისი აღზრდილი სტუდენტები, დღეს უკვე მისი კოლეგები ყოველთვის გრძობდნენ მის ადამიანურ სიბოძას და გულისხმიერებას. დასანანი, რომ ასეთი დიდი ადამიანი აღარ არის ჩვენ გვერდით.

თსუ-ის რომანული ფილოლოგიის კათედრა



ივანე ჯავახიშვილზე მერაბ კოკოჩაშვილის ფილმის პრემიერა თსუ-ში

ციკლიდან „მათ შიქმეს უნივერსიტეტი“

„აქ, ადრე, სულ მინდვრები და საძოვრები იყო, ბატონი ივანე ჯავახიშვილი იყო ის ადამიანი, რომელმაც ჩაიფიქრა კიდევ და შემდეგ შექმნა უნივერსიტეტი... ასე იწყება დოკუმენტური ფილმი ივანე ჯავახიშვილზე, რომელიც ცნობილმა ქართულმა კინორეჟისორმა და დოკუმენტალისტმა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე-ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელმა მერაბ კოკოჩაშვილმა ამ მიმართულების სტუდენტებთან და პედაგოგებთან ერთად გადაიღო და რომელიც ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილეს მიეძღვნა. ფილმის პრემიერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში 23 აპრილს, ივანე ჯავახიშვილს დაბადების დღეს, გაიმართა, რომელსაც სტუდენტები და პროფესორები დაესწრნენ.“



ფილმით მიღებული შთაბეჭდილება აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემაც გაგიზიარა: „ფილმი მართლაც მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული. „ფიხდაფიხ მივყვებოდი“ ფილმში აღწერილ მოვლენებს და უნდა აღვნიშნო, რომ საოცარი სიზუსტით იყო ყველა ფაქტი დაფიქსირებული და სწორად შეფასებული. ფილმი საკმაოდ ემოციური იყო, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო რეჟისორს მერაბ კოკოჩაშვილს და მთელ შემოქმედებით ჯგუფს“, — განაცხადა მარიამ ლორთქიფანიძემ.

ფაკულტეტის მაშინდელ დეკანს დარეჯან თვალთვალებს. სწორედ მათი დამსახურებაა ის, რომ სერია — „მათ შიქმეს უნივერსიტეტი“ — ნარმატებით გრძელდება. უკვე დაწყებულია მერე ფილმზე მუშაობა, რომელიც დიმიტრი უზნაძეს ეძღვნება. ჩვენი სურვილია, უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთვის ყველა ფილმი მზად იყოს. იმედია, პროექტი ნარმატებით განხორციელდება“, — აღნიშნა მერაბ კოკოჩაშვილმა.

მნიშვნელოვანია, რომ ფილმში გამოყენებული უნიკალური დოკუმენტური მასალის უმეტესობა, რომელიც სპეციალურ ფონდებშია დაცული, დღემდე საზოგადოებისთვის უცნობი იყო. მერაბ კოკოჩაშვილის ინფორმაციით, კომუნისტური რეჟიმის პირობებში ამ მასალების გამოყენების და გამოშვების უფლება მეცნიერებსაც კი არ ჰქონდათ, ახლა კი მათ საშუალება მიეცათ ამ მასალებზე ემუშავათ. ფილმში რეჟისორის ხსენს, რა გზა

გამონახა ივანე ჯავახიშვილმა და ვისი პრინციპები ერთგული იყო უნივერსიტეტის შექმნისას. „ილიას და თერგდალეულების დროს ჩამოყალიბდა პრინციპები: „მამული, ენა, სარწმუნოება“ — ეს რომ განხორციელებულიყო და ცივილიზებული ქვეყანა შექმნილიყო, ამას ესაჭიროებოდა განათლება, ეს ყველაფერი გაიანჯრა და ზუსტად ჩამოაყალიბა ივანე ჯავახიშვილმა.“

პრემიერაზე ფილმის მნიშვნელობაზე ისაუბრა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ეს დღე „ჩვეულებრივი“ ვერ იქნებოდა, რადგან ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღეა, ამიტომ დილიდან აქ მრავალი ღონისძიება გაიმართა, მათ შორის განსაკუთრებული კი ეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც უნივერსიტეტის დამაარსებელს მიეძღვნა. ვულოცავთ შემოქმედებით ჯგუფს ამ ნარმატებას, რომელიც მომავალშიც გვმავს ფილმების გადაღებას სხვა უნივერსიტეტის დამაარ-

სებლებზე“, — განაცხადა დარეჯან თვალთვაძემ. „ძალიან საყურადღებო ფილმია, იგრძნობა, რომ დიდი შრომა და სიყვარულია ჩადებული. ის, ვინც დოკუმენტურ ფილმებზე მუშაობს და ვისაც ძველ წყაროებთან და საბუთებთან აქვს საქმე, იმან კარგად იცის, რამდენი დრო უნდა ამ უზარმაზარი მასალის დამუშავებას, შერჩევას და შესწავლას, ეს ყველაფერი ამ ფილმში გამოჩნდა“, — აღნიშნა ფილმის ნახვის შემდეგ აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ.

პრემიერაზე რეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა მადლობა გადაუხადა მთელ შემოქმედებით ჯგუფს ფილმზე მუშაობისთვის, მათ შორის: დათო გუჯაბიძეს, მერაბ ვარნაძეს, იზი თითბერიძეს, ნინო გელაშვილს, სოსო ორმოცაძეს, გიორგი ხარეზავას და იმედი გამოთქვა, რომ მათთან ერთად უნივერსიტეტის დამაარსებლებზე ფილმების შექმნისას მუშაობა ასეთივე ნარმატული იქნება.

შურთისა ბაროშვილი

საბავშვო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები

ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, თსუ-ის უწყვეტი განათლების ცენტრთან არსებულმა „საბავშვო უნივერსიტეტმა“ რამდენიმე ღონისძიება გამართა.

19-21 აპრილს „საბავშვო უნივერსიტეტმა“ და თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებამ საჯარო და კერძო სკოლების უფროსებს სემინარები და კონფერენციები შეატარა. სალექციო კურსი შემდეგ თემებს მოიცავდა: „პატრიოტიზმი: მამულიშვილობა და მეცნიერება“, „ადამიანის პრობლემა: პირველი ლექცია ქართულ უნივერსიტეტში“, „ქართული უნივერსიტეტი, როგორც პოლიტიკური პროექტი“, „ივანე ჯავახიშვილი ქართული პოლიტიკური აზროვნების თავისებურებების შესახებ“ და სხვა.



ლექციებმა, რომელსაც თსუ-ის პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე კითხულობდა, მისწავლეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მსმენელები არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოს სხვადასხვა რაიონის საჯარო სკოლების მოსწავლეები იყვნენ, რომლებსაც ლექციათა კურსის გავლის შემდეგ სერტიფიკატი გადაეცათ.

ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა ასევე „საბავშვო უნივერსიტეტის“ მიერ ორგანიზებული ესეების კონკურსი თემაზე: „ივ. ჯავახიშვილი — პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი“, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს საჯარო სკოლების VII-XII კლასების მოსწავლეებმა მიიღეს.

III ადგილი ერგო ქ. თბილისის №116 საჯარო სკოლის მოსწავლეს ლიზი ექსეულიძეს ფსევდონიმით: „ჰოლდენი 505“ (თემის ხელმძღვანელი მაია გამისონია). რეიტინგულთა სიაში მოხვედრენ მოსწავლეები ბათუმის, ხაშურის, ქუთაისის, თეთრიწყაროს, ხონის, ფოთის, ადიგენის, რუსთავის, თბილისის და ხოვლეს საჯარო სკოლებიდან.

ამავე დღეს, თსუ-ის სა-მედიცინო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა: პედიატრმა რუსუდან ქარსელაძემ, ნევიროლოგმა მარინე კიხიანიამ და კარდიოლოგმა, თერაპევტმა მიხეილ წვერაძემ ხოვლეს საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის აქცია გამართეს და მათ უფასო სამედიცინო კონსულტაცია გაუწიეს.

ადმინისტრაციას და „საბავშვო უნივერსიტეტს“ აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

„საბავშვო უნივერსიტეტი“ ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის ხშირი სტუმარია. თბილისის საჯარო სკოლის მოსწავლეები ექსკურსიაზე მოგვყავს აქ და დიდი მამულიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვუამბობთ. თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებიც ხშირად ჩამოდიან ხოვლეს და სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა თემებზე საინტერესო ლექციებს უკითხავენ.

სულ ცოტა ხნის წინ, სახლ-მუზეუმში მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლიდან ჰუმანიტარ მოსწავლეთა ჯგუფი გვყავდა, რომელმაც შესანიშნავი სოუჟეტი მოამზადა. ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე გადაწყდა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესთან არსებულ ეთნოგრაფიის ისტორიის კაბინეტს ივანე ჯავახიშვილის სახელი ეწოდოს“, — განაცხადა „საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორმა მარიამა ლომოურმა.

ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, „საბავშვო უნივერსიტეტი“ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისთვის კიდევ ერთ ღონისძიებას გეგმავს — ინგლისურენოვანი ესეების კონკურსს, რომელიც 18 მაისს გაიმართება.

თამარ დადიანი

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის მმართველი:	მისამართი:
მთავარი სამხატვრო	მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ლადო პაპავა, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, მარიამ ცისკაძე, ნინო ქალაგანიძე, ირმა რუსაძე	ილია ჭავჭავაძის გამზ. 113
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		(თსუ-ის მე-8 კორპუსი)
ფოტოკორექტორი	ანა ბოლქვაძე		tsunewspaper@tsu.ge
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი		2 22 36 62

